საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 37 (581)
ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1993 წელი
ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

23 თებერვლის პირველმა ნახევარმა შედარებით მშვიდად ჩაიარა. 15 საათიდან კი მოწინააღმდეგე შესამჩნევად გააქტიურდა და ცდილობდა მოეხდინა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაცია, მაგრამ ქართველი არტილერისტები მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ.

მოწინააღმდეგის რამდენიმე ჭურვი აფეთქდა ქალაქ სოხუმის სხვადასხვა რაიონში, წინასწარი მონაცემებით, დაბომბვას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

17 საათიდან არტილერიის გამოყენებით ადგილი ჰქონდა ორმხრივი პერმანენტული ხასიათის პოზიციურ ბრძოლებს.

ქართველი მეომრები თანამიმდევრულად ახშობდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებს.

იოსებ გოგეჩია.

შეთანხმებათა ხელმოსაწერად

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიკვაიძემ განაცხადა, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით უახლოეს მომავალში ეწვევა სომხეთს, სადაც აპირებენ ხელი მოაწერონ მთელ რიგ შეთანხმებებს თანამშრომლობის შესახებ. მან თქვა, რომ საქართველო ესწრაფვის განახორციელოს შეწონასწორებული პოლიტიკა რეგიონში. „ჩვენს მეზობლებს არ ვყოფთ ცუდებად და კარგებად, — განაცხადა მან. — ჩვენ უნდა გვქონდეს აბსოლუტურად თანასწორი ურთიერთობა“.

შეხვედრა ბიზნესმენებთან

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ მიიღო ჰოლანდიელი და კვიპროსელი ბიზნესმენები. შეხვედრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციებს. ჰოლანდიის ფირმა „ფაბსის“ წარმომადგენელმა ბაბ ფაბერმა აღნიშნა, რომ ბათუმის ნავსადგურის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და აჭარის ბუნებრივი პირობები იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ უახლოეს მომავალში ბათუმის ეს ნავსადგური გადაიქცეს ერთ-ერთ წამყვანად მსოფლიოში, ქალაქი კი ტურისტულ ცენტრად.

ენერგობლოკი აღადგინეს

ენერგეტიკოსების მიერ ოპერატიულად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში მწყობრში ჩადგა დივერსიის დროს დაზიანებული ერთ-ერთი ენერგობლოკი. თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში უკვე ამოქმედებულია ხუთი ენერგოაგრეგატი.

რკინიგზელთა სიფხიზლის წყალობით

23 თებერვალს ღამით უცნობი პირები, რომლებმაც დააზიანეს რამდენიმე ასეული მეტრი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ხაზი ქოლობან-აბაშის სარკინიგზო მონაკვეთზე, ცდილობდნენ მის მოპარვას, მაგრამ მხოლოდ რკინიგზელთა სიფხიზლის წყალობით ვერ განახორციელეს ეს დანაშაულებრივი ოპერაცია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

გონების კარნახით, ხვალინდელ დღეზე ფიქრით

23 თებერვალს მუშაობას შეუდგა პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე. პარლამენტარებმა მოითხოვეს შემოთავაზებული რეგლამენტისათვის რამდენიმე საკითხის დამატება. მათ შორის, უმთავრესი, ბუნებრივია, იყო 20 თებერვალს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის მიერ სოხუმის დაბომბვის აქცია, რამაც აღაშფოთა საქართველოს მოსახლეობა. ცხადია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამ ურთულეს სიტუაციაში, პარლამენტარებს და სრულიად საქართველოს აინტერესებთ გაიგონ სინამდვილე სახელმწიფოს მეთაურისაგან, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ ტრაგედიისთანავე ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან თენგიზ სიგუასთან და ვიცე-პრემიერთან ზურაბ კერვალიშვილთან ერთად სოხუმს ჩავიდა და ადგილზე გაეცნო იქ შექმნილ ვითარებას.

პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების და, კერძოდ, სოხუმის დაბომბვის გამო. მან თქვა:

— სოხუმში ჩასვლა რამდენიმე ამოცანასთან იყო დაკავშირებული. პარლამენტშიც და პარლამენტის გარეთაც არაერთხელ გამოითქვა გარკვეული შეშფოთება სოხუმის დაცვის პრობლემის გამო. თავდაცვის საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით სოხუმში გაემგზავრა სამხედრო სპეციალისტთა დიდი ბრიგადა გენერალ ანატოლი კამკამიძის ხელმძღვანელობით, რათა შეემოწმებინა კორპუსის მზადყოფნა, შეიარაღების მდგომარეობა, პოზიციები და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის მოეხსენებინა შექმნილი რეალური ვითარების შესახებ. დაახლოებით ერთ კვირას მუშაობდა ეს ჯგუფი იქ და მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადგილზე, სამხედროების მონაწილეობით გამერკვია მომხდარი ფაქტი. ეს გახლდათ პირველი ამოცანა.

ბოლო ერთი კვირის, თითქმის ათი დღის განმავლობაში სოხუმში შეიქმნა ურთულესი ვითარება — დაზიანდა მაღალი ძაბვის ხაზი, შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, გაჩერდა პურის საცხობები, პრაქტიკულად, ქალაქი სრულმა კრიზისმა მოიცვა, იგი დარჩა პურის, ენერგიის, წყლის გარეშე. იმის მიუხედავად, რომ მინისტრთა კაბინეტი იღებს ზომებს — დამატებით შეაქვთ ფქვილი, ქალაქი მაინც შიმშილობს, ვერ ვაწვდით ენერგიას, წყალს.

ჩემს ჩასვლამდე ამ საკითხის მოსაგვარებლად სოხუმში გაიგზავნა საკმაოდ კვალიფიციური ჯგუფი ბატონ ზურაბ კერვალიშვილის მეთაურობით. ამ ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა ვითარება, დასახა ღონისძიებანი და საჭირო იყო გადაწყვეტილებების ადგილზე მიღება. ეს — მეორე. მესამე კი — იქ ჩასვლა არა მარტო ჩემი პირადი სურვილი, არამედ მოვალეობაც იყო, რათა მქონოდა შეხედულება სოხუმში შექმნილ ვითარებაზე, ჩვენს ჯარზე, ოჩამჩირის ზონაზე, შევხვედროდი იმ ფორმირებებს, რომლებიც ახლა ოფიციალურად ფუნქციონირებენ, სოხუმში მომიწვია გენერალი, რომელიც წარმოადგენს რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობას გუდაუთაში. თუმცა ეს შეხვედრა არ გაიმართა.

შემოწმება ჩატარდა სოხუმსა და ოჩამჩირის ზონაში. ჩვენი ძალების შეიარაღება ნორმალურია, დღევანდელი შესაძლებლობიდან გამომდინარე იგი არ იწვევს რაიმე შეშფოთებას. ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა მოხსენებამ, რომ საჭიროა ჩვენი საჯარისო ფორმირებების აუცილებელი საგნებით მომარაგება. გენერალმა თავაძემ თავის ინფორმაციაში მოგვახსენა, რომ ასეთი ყინვების მიუხედავად, იქ მებრძოლ სამი ათას კაცს თბილი ტანსაცმელი არა აქვს. თუმცა თბილისიდან გაიგზავნა იმაზე მეტი, რაც საჭირო იყო. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი განხილვის თემა უნდა გახდეს. როგორც ჩანს, არიან ძალები, რომლებიც ასეთ დროს ხელს ითბობენ... ჩვენ ადგილზე მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილებები და ის, რაც დაკავშირებულია კვების პროდუქტებთან, ტანსაცმელთან, უახლოეს დღეებში გადაწყდება. მებრძოლებს საკმაოდ მაღალი საბრძოლო განწყობილება აქვთ. ჩვენი საუბარი ამავე თემაზე გაგრძელდა ოჩამჩირეში. აქაც და სოხუმშიც კარგი ბრიგადები ჩამოყალიბდა. ოჩამჩირეში საკმაოდ გამოცდილი ბატალიონის მეთაურები არიან, საბრძოლო მზადყოფნა კარგია. მე ვადარებ ორი-სამი თვის წინანდელ მდგომარეობას. არმიის ფორმირების საქმე მტკივნეულად მიდის, მაგრამ მაინც მივიწევთ წინ. თავდაცვის საბჭოზე უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ ყოველივე და მივიღოთ საჭირო გადაწყვეტილებანი.

იმ ჯგუფმა, რომელსაც ბატონი ზურაბ კერვალიშვილი ხელმძღვანელობდა, იმუშავა სოხუმში, ოჩამჩირეში, შემდეგ იყო ფოთში, ქუთაისში, დააზუსტა ჩვენი შესაძლებლობები გენერატორების დამატებით გაგზავნის შესახებ. ჯგუფი იყო იმ ადგილებში, სადაც დაზიანდა მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზი და ენერგეტიკოსებმა პირობა მოგვცეს, რომ ექვს-შვიდ დღეში ხაზს აღადგენენ, სოხუმი მიიღებს ელექტროენერგიის იმ მინიმუმს, რაც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას, პურის გამოცხობას, რათა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს კატასტროფული მდგომარეობა. იმისათვის, რომ სოხუმსა და ოჩამჩირეში გაიგზავნოს თხევადი გაზი, ნავთი, სანთელი, ფქვილი, მივიღეთ დამატებითი ზომები.

ძალიან მძიმე განწყობილებაა სოხუმში, მაგრამ მისი მცხოვრებლები მზად არიან დაიცვან ქალაქი. მე გახლდით დაბომბვის ადგილას. იქ დაიღუპა ადამიანი, არიან დაჭრილები, რვა სახლი დაინგრა. მქონდა ერთსაათიანი საუბრები მოსახლეობასთან. როგორ ატმოსფეროში იქნებოდა ეს საუბრები და ჩემი დამოკიდებულება ამ ფაქტის გამო, იქვე გამოვხატე. მთელი პასუხისმგებლობა მომხდართან, ამ ბარბაროსულ აქტთან დაკავშირებით — ამის შესახებ იმავე საღამოს განვაცხადე პრესკონფერენციაზე — დავაკისრე იმ ადამიანებს, ვისაც აქვს რუსეთის მთავრობის მიერ მინიჭებული უფლება გასცეს განკარგულება რუსეთის თვითმფრინავის ამ მიზნით გამოყენების თაობაზე. პარლამენტის ტრიბუნიდან ვადასტურებ, რომ ეს არის, ჩემი აზრით, პროვოცირებული, სპეციალურად გამიზნული აქცია იმათ მხრიდან, ვისაც არც თავისი ქვეყნისათვის უნდა სიკეთე, არც თავის მთავრობას და პრეზიდენტს უჭერს მხარს და ვისაც უნდა დამატებითი სიძნელეები შეუქმნას საქართველოს.

პარლამენტის სხდომის დღიური

სოხუმის ამჟამინდელი დაბომბვა ერთადერთი შემთხვევა არ არის. საცხოვრებელი უბნებისათვის ცეცხლის გახსნის ოცი ფაქტია აღნიშნული, რომლის დროსაც დაიღუპა ოცი ადამიანი, დაიჭრა ექვსასამდე კაცი. დაღუპულთა და დაჭრილთა შორის 40 პროცენტი რუსი ეროვნების მოქალაქენი არიან.

ჩემი განცხადება ამ აქციის გამო გამოქვეყნდა პრესაში. მე მახლდა უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი და უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებით არაერთხელ გადაიცა იგი საზღვარგარეთ. მომხრე ვარ, რომ დღეს პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი განცხადება.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ რაიონის გამგებლებს მიღებული აქვთ დავალება, საჭიროების შემთხვევაში, ყველა რაიონს სამობილიზაციო მზადყოფნაში ჰყავდეს მოქალაქეები, რომლებსაც იარაღი აქვთ.

როცა კომენტარი გაუკეთა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის ამასწინანდელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთის ჯარები არ გავლენ ბათუმიდან და აფხაზეთიდან, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: თუ ასეთი აგრესიული განცხადებები გაგრძელდება, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გამოვაცხადოთ საყოველთაო მობილიზაცია და დავიცვათ ჩვენი ქვეყანა. ეს უკიდურესი გადაწყვეტილებაა. ჩვენ ბევრი ვითმინეთ, ახლაც, ალბათ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო სამართალი, ვიმოქმედოთ გონების კარნახით, ვიფიქროთ ხვალინდელ დღეზე. რუსეთს ახლა თავისი სირთულეები და სიძნელეები აქვს, მოქმედებენ სხვადასხვა ძალები. ერთის მხრივ, საქართველოში კეთილშობილური მიზნებით რუსეთის სახელმწიფო გზავნის დელეგაციას უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რამაზან აბდულატიპოვის და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სერგეი შახრაის შემადგენლობით და მეორეს მხრივ, იძლევა ბრძანებას დაბომბეთ ესა თუ ის უბანიო. მე მქონდა შეხვედრა დელეგაციასთან და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ისინი მზად არიან ეძებონ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზები, შემოთავაზებული იყო ასეთი წინადადება, რომ კარგი იქნება, თუ ერთმანეთს შეხვდებიან კავკასიის რეგიონის ქვეყნებისა და რუსეთის ხელმძღვანელობა. მე არ გამომიხატავს აქტიური მხარდაჭერა, რადგანაც ვთქვი, რომ ნამდვილად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, რა არის ეს, რით დამთავრდება. მას შემდეგ, რაც არ შესრულდა 3 სექტემბრის ხელშეკრულება, მოიშალა ცხინვალის საკონტროლო სისტემა, აფხაზეთში კი ისეთი მდგომარეობაა, რომ რუსეთს განვიხილავთ კონფლიქტის მონაწილე მხარედ — ეს დავწერე გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში — ცოტა ბუნდოვანია დელეგაციის შემოთავაზებული წინადადება.

შევეცდები საუბარი შედგეს ბატონ ბორის ელცინთან, რათა არ დავუშვათ მოვლენათა შემდგომი დრამატული განვითარება, გაირკვეს მისი პოზიცია და დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

შეეხო რა ამ დღეებში, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციის დროს მომხდარ ინციდენტს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ამის მოწყობა შეუძლია მხოლოდ პროვოკატორს.

— როცა ეს ამბავი სოხუმში შევიტყვე, — თქვა მან, — მაშინვე ვთხოვე ბატონ თედო ნინიძეს, სასწრაფოდ შექმნა ავტორიტეტიანი საგამოძიებო ჯგუფი, რათა ამას ნათელი მოეფინოს. დაინტერესებული ვარ, რომ გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს ნამდვილი დამნაშავე.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რამაზან აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სერგეი შახრაის სამუშაო ვიზიტის დროს მიღებული კომუნიკეს შესახებ. აღსანიშნავია, რომ მათ მქონდათ ამ დოკუმენტის თავიანთი პროექტი და მან მიიღო ისეთი სახე, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობას, შეშფოთებას იწვევს. ალბათ, გაიმართება დისკუსია და პარლამენტი თავის მოსაზრებას გამოხატავს კომუნიკეს გამო.

მომხრე ვარ, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, დაიწყოს საპარლამენტო დისკუსია რუსეთთან დამოკიდებულების დღევანდელი ეტაპის შესახებ, რათა მთელმა საქართველომ იცოდეს, ვის რა პოზიცია, როგორი ხედვა აქვს. მოვიდა დრო, პარლამენტმა თავისი სიტყვა თქვას ამ საკითხზე.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინფორმაციამ აზრთა ცხოველი გაზიარება გამოიწვია. მან უპასუხა პარლამენტარითა შეკითხვებს. შემდეგ პარლამენტის წევრები შეუდგნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის — საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რამაზან აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სერგეი შახრაის სამუშაო ვიზიტის დროს მიღებული კომუნიკეს განხილვას. პარლამენტმა, ძირითადად, უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ამ დოკუმენტის მიმართ, და როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ განაცხადა, კომუნიკე არ ასახავს იმ სულისკვეთებას, რომელშიც მიმდინარეობდა მოლაპარაკება დელეგაციასა და ქართულ მხარეს შორის.

კამათმა საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან წამოაყენა წინადადება, დოკუმენტი გადაეცეს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიას შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

ფოთი: აწმყო და მომავალი

სამნი ერთ მანქანაში თანამგზავრების ჩაუთვლელად

არმაზ სანებლიძე.

— გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.
— რათა ერთი?
— მაშ რამდენი?
— სამი: ფოთის ნავსადგურის უფროსი ვალერი გეგიძე, ტელე და გაზეთის რეპორტიორი ბადრი ვადაჭკორია და ამ ნაწერის ავტორი (რა თქმა უნდა).

რაღა თქმა უნდა, ქვეყნის ამბებზე ვსაუბრობდით.

გზას ლევდა სიჩუმე, საუბარი ლევდა გზას, რომელიც თოვლში დაკარგული სინდისივით ეგდო და ხაზს უსვამდა შეშფოთების, იმედისა და ეჭვის უსასრულო მონაცვლეობას.

ვსაუბრობდით-მეთქი. თუმცა ლაპარაკობდა მხოლოდ ვალერი გეგიძე, საკუთარ თავთან საუბრის გულახდილობით, რომელიც ამავე დროს ხელოვნებაა, ანდრეი პლატონოვის მტკიცებით.

— ამ გზასაც ეშველება, შეაკეთებენ, ქალაქში ყვავილებსაც დავრგავთ და მინდორში ბალახსაც მოვთიბავთ, თუ დავწყნარდებით, რასაკვირველია.

რა არის ახლა ეს — ცალკე რაიონი, ცალკე აფხაზეთი, ცალკე აჭარა, ცალკე სამეგრელო, ცალკე ცხინვალი? ამისთვის არ უნდა გვეცალოს ახლა ჩვენ, სხვა გონებით უნდა ვიმუშაოთ. აგერ რუსეთის მაგალითი: როგორ დაიძრა რუსეთის ეკონომიკა, გამოდის კრიზისიდან. ყველაზე მეტად ეგებ ჩვენა ვგრძნობთ ამას, ნავსადგურში: კონცერნები, კომპანიები, გაერთიანებები დეპეშას დეპეშაზე გვიგზავნიან — ვინ ქვანახშირის გატანას გვთხოვს, ვინ — თავის საწარმოებში დამზადებული პროდუქციისას. მუშაობს ხალხი.

ჩვენთან — რა? შიში აქვს ადამიანს. აგერ, ა, მაღაზიები — რკინებშია, სახლები რკინებში ჩავსვით: ციხეებში ჩავიკეტეთ: შინ და გარეთ ციხეა, ჩვენივე გაკეთებული. განა გასაკვირია, თუ საქმეში ფული არ ჩადო ასე დაშინებულმა კაცმა? ამიტომ გადიან საზღვარგარეთ, რუსეთში მიდიან. ერთი ჩემი ნაცნობის შვილი გერმანიაში იწყებს საქმეს, მეორე — შეერთებულ შტატებშია, ჯართს აგროვებს და პრესავს, დღეში 800-900 დოლარი აქვს. დიდი საქმე არ არის, მაგრამ ასეთი მცირე ბიზნესით დგას ამერიკა ფეხზე უმთავრესად. ეს ცნობილია.

ჩვენთან თითქოს ყველაფერი იციან, მაგრამ რატომ ეგვიანებს ყველაფერი? გამართლება არა აქვს ამას. თითქოს განხორციელდა პრივატიზაცია და, აგერ, თბილისში სავაჭროები, მაღაზიები, მაცივრები მკვდარია. როგორ გინდათ, რომ ეკონომიკა აღორძინდეს?

საშიშია, სარისკოა? კი, ბატონო, მაგრამ ბიზნესი რისკია, ყველაზე აზარტული თამაშის ზენიტია, ვიტყოდი ასე მე. კარგი ბიზნესმენი ბედნიერებაა, ღმერთისგან ბოძებული ნიჭია ბიზნესმენობა. სპეკულანტობაში ერევა, სამწუხაროდ, ზოგიერთს, რა აბსურდიცაა ბევრი პოეტი ერთ პატარა ქვეყანაში, ასევე ვერ იქნება ბევრი ბიზნესმენი. გადამყიდველი — რამდენიც გნებავთ. ზოგმა დიდი ფული დააგროვა, ბინძური ფული, ყაჩაღობით ნაშოვნი და ძარცვით. ასიდან ერთი თუ დადგება ასეთებიდან ფეხზე, სხვა ჩაქვდება. ნამდვილად ასეა.

დიდი ნიჭი და ცოდნაა საჭირო, განათლება. ამ დღეებში ვაგზავნით ნავსადგურიდან 8 საუკეთესო ახალგაზრდას გერმანიაში სასწავლებლად. ჩვენი პროფესიის დასაფუძვლებლად.

ლაპარაკობდა ბატონი ვალერი ეკონომიკაზე, ბიზნესში დასაქმებულ ხალხზე და მომავალს ისე იმედიანად და რეალურად ხატავდა, თითქოს ხელის გაწვდენაზე იყო და პარტიულ-პოლიტიკური არეულობა და პარლამენტის ასპარეზზე „რაინდული შერკინებები“ სხვა პლანეტაზე თუ არა, სხვა ქვეყანაში ხდებოდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეკონომიკა დაჯაბნის პოლიტიკას, მოერევა ომს?

— შეიძლება ასეც იყოს. 5 წლის წინათ რომ აღედგინათ ჩვენთან კერძო საკუთრება, დღეს არც ცხინვალის პრობლემა გვექნებოდა, არც აფხაზეთის, და პარლამენტშიც უფრო ჭკვიანი ხალხი გვეყოლებოდა, ჩვენც უფრო ჭკვიანები ვიქნებოდით.

წურბელებს რომ მიაჯინენ წინდაიან ადამიანს, ასეა მისეული მთელი მსოფლიო ახლა რუსეთს, ყაზახეთს, უზბეკეთს: მადანი, ნავთობი, ბამბა უნდა ამოწოვონ.

ჩვენ კი გავრბივართ. სად? ვინ ჩაგვიხუტა გულში?

ლოზუნგებს რომ გვესროდნენ — არაფერი გვინდა, ბალახს შევჭამთო, არ გამოდის ასე. არ მინახია მე ბალახის მჭამელი პოლიტიკოსი. ნამდვილი თავისუფლებაც გვჭირდება და ძლიერი ეკონომიკაც. რუსეთიც გვინდა, თურქეთიც, ბელორუსიაც და შეერთებული შტატებიც.

მარტო გაწევით (საითაც გნებავთ) ვერაფერს გავხდებით. კანონები გვჭირდება, პეტრე პირველმა რუსები ჰოლანდიაში რომ გაგზავნა და გემთმშენებლობა ასწავლა, ამის მაგვარი რამეც.

სურათზე: ფოთის ნავსადგურის უფროსი ვალერი გეგიძე.
ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

პრივატიზაცია. ამ პრობლემას ვალერი გეგიძე ბევრჯერ დაუბრუნდება, და ასეთ პერსევერაციას იმით ახსნის, რომ იგია საბაზრო ეკონომიკაზე წარმატებით გადასვლის რეალური გზა.

პრივატიზაცია — განსახელმწიფოებრივება, მაგრამ უპირველესად აქ დასაქმებული კოლექტივის სასარგებლოდ; კერძო და სახელმწიფო საკუთრების დაბალანსებული შერწყმა.

ნავსადგურის კოლექტივმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება სააქციონერო საწარმოდ ჩამოყალიბების თაობაზე.

— სააქციონერო საზოგადოების სტატუსს მოჰყვება ფული, კრედიტი (რითაც ახალი პროექტები დაფინანსდება), ბანკების გახსნილი კარები და ყველაფერი ის, რაც ნებისმიერ ნორმალურ ნავსადგურს აქვს მსოფლიოში.

აქციების საგრძნობი ნაწილი იქნება საქართველოს, ეგრეთ წოდებული, გარანტირებული საწარმოებისა, რომლებიც მსოფლიოში საჭირო გასატან პროდუქციას ამზადებენ — „აზოტის“, რუსთავის მეტალურგიულის, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, ქუთაისის ფეროშენადნობთა ქარხნის, ჭიათურმანგანუმის, ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის და ასე შემდეგ. იმდენი პროცენტი, რამდენიც საჭიროა, იქნება ქალაქის მერიას, დანარჩენი — უცხოეთის ფირმებს. ამის არ უნდა გვეშინოდეს. თუ მაინცდამაინც — დავდოთ ხელშეკრულებები 5-10 წლით და უნდა შევუდგეთ საქმეს.

ასეთი იყო ნავსადგურის უფროსის პასუხი შეკითხვაზე — სახელმწიფო ქონების პატრონად და განმკარგულებლად მყოფი კაცი, რომელსაც დიდი უფლებები აქვს მინიჭებული, რატომ ილწვის ასე მონდომებით პრივატიზაციისათვის? ჯერ ერთი, არავინ იცის, დააყენებენ თუ არა პრივატიზებული პორტის სათავეში მას და, მეორეც, სახელმწიფო საკუთრება და კერძო საკუთრება ხომ ანტიპოდებია და ამ ნაჯვარიდან შეიძლება არაფერი გამოდნეს.

თურმე პირიქით, მსოფლიო პრაქტიკა სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს, და მართლაც ყველასათვის სასარგებლო იქნება, რაც შეიძლება მალე რომ გადაილახოს ნავსადგურის კოლექტივის გადაწყვეტილების მატერიალიზაციის სტაიერული დისტანცია.

ყველასათვის სასარგებლოო, — ეგებ ამ ბამბაზის ხალათებიანი (მშრომელი ქალების სპეცტანსაცმელი) ქალბატონებისთვისაც, რომლებიც შრომაში ქერამიკას უწინდელი მოგებით ვეღარ ასაღებენ, მიუხედავად იმისა, რომ თუმნიანი დოქის ფასი 500 მანეთამდე გაზარდეს. რა ქნან? შრომაში ვერც ტრადიციულ ხელობას უღალატებენ და სხვა არც არაფერი გააჩნიათ.

— უსაქმოდ ხომ არ გაჩერდებიან კაცები? ამზადებენ და ამზადებენ ამ დოქებს, ქვევრებს, ჭინჭილებს. ვაკეთებთ და ვაწყობთ. გუშინ ერთი დოქი გავყიდე მხოლოდ. აღარაა ვაჭრობა, ვინღა დადის...

(დასასრული მე-2 გვ.).

ქართველი პარლამენტარები თურქეთს გაემგზავრნენ

23 თებერვალს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სტამბოლს გაემგზავრა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია მისი სპიკერის ვახტანგ გოგუაძის მეთაურობით. ამ სხდომაზე ალიანსის მონაწილე თერთმეტი სახელმწიფოს — ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, მოლდოვის, რუსეთის, რუმინეთის, საქართველოს, საბერძნეთის, სომხეთისა და უკრაინის პარლამენტების სპიკერები ხელს მოაწერენ ასამბლეის საპროცედურო წესებს და აირჩევენ ასამბლეის პირველ პრეზიდენტს, რომლის უფლებამოსილება ერთ წელიწადს გაგრძელდება. შემდეგ კი პრეზიდენტის მოვალეობას თითო წლის ვადით ინგლისური ანბანის მიხედვით რიგ-რიგობით შეასრულებენ მონაწილე ქვეყნების პარლამენტების სპიკერები.

ასამბლეაში მონაწილეობის პარალელურად საქართველოს პარლამენტის სპიკერს შეხვედრები ექნება თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან.

საქართველოს დელეგაციის ვიზიტი თურქეთში 27 თებერვლამდე გასტანს.

საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი სარეფერენდუმო საკითხი:

1. დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს თუ არა საბარათო ნორმირებული სისტემა, მოსახლეობისათვის აუცილებელი ძირითადი პროდუქტის მიწოდების მიზნით.

და საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. გ. ჩხაიძე
2. მ. ბუზარაშვილი
3. ქ. უნდილაშვილი
4. ნ. თომაშვილი
5. მ. ალავერდაშვილი
6. კ. გოგილიძე
7. გ. სიდამონიძე

საინიციატივო ჯგუფის მისამართია: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 37, ტელ.: 98-88-11; 98-78-47; 98-88-12; 98-78-49.

**კომისიის თავმჯდომარე
მერაბ ალექსიძე.**

ნომერში

◎ ვის უნდა თავისუფლება? 3
◎ ზუსტი მოხვედრა მიზანში, ანუ ვინ წერს და ვისზე წერენ. 4

საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მოხალისეთა, დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და შეღავათების დაწესების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მოხალისეებს, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, შინაგანი ჯარის მოსამსახურეებს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებსა და ამ კატეგორიის დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებს პენსიები დაენიშნოთ და შეღავათები დაუწესდეთ ომის ინვალიდთა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის ამჟამად მოქმედი ნორმატივების შესაბამისად.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განახორციელოს ამ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებანი.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 თებერვალი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა

23 თებერვალს რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი მიიწვიეს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში და გადასცეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა.

ნოტაში აღნიშნულია, რომ 1993 წლის 20 თებერვალს 23 საათსა და 10 წუთზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ორმა სუ-25 თვითმფრინავმა რაკეტები დაუშინა და დაბომბა ქალაქ სოხუმის ცენტრალური ნაწილი.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნათქვამია ნოტაში, სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია რუსეთის ფედერაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 1993 წლის 21 თებერვლის განცხადება იმის შესახებ, რომ რაკეტებისა და ბომბების დაშენა მოხდა საქართველოს რესპუბლიკის ჯარის ფორმირებათა მიერ სოფელ ეშერაში განლაგებული რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილისათვის ცეცხლის დაშენის პასუხად, და რომ დაიბომბა საქართველოს ჯარების პოზიციები და არა საცხოვრებელი უბნები.

სინამდვილეში არც 19 და არც 20 თებერვალს საქართველოს ჯარების მხრივ არ ყოფილა რუსეთის ჯარის ნაწილისათვის ცეცხლის დაშენის ფაქტი. ამას გარდა, სოხუმში დაინგრა ოთხი საცხოვრებელი სახლი, მოკლულია ერთი და დაჭრილია ცამეტი მშვიდობიანი მცხოვრები.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს აქცია მიაჩნია პროვოკაციად და საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, რომლის შედეგებმა არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს უცხადებს რუსეთის მხარეს და მოითხოვს მომხდარი ფაქტის სასწრაფოდ და ყოველმხრივ გამოძიებას და დამნაშავეთა სამაგალითოდ დასჯას.

სომხეთის დელეგაცია საქართველოში

23 თებერვალს თბილისში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი არმან კირაკოსიანი.

საქართველო დიდად არის დაინტერესებული იმით, რომ შეინარჩუნოს და განავითაროს ეკონომიკური ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან საერთაშორისო სამართლის, ურთიერთსარგებლობისა და პატივისცემის პრინციპების საფუძველზე, — თქვა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, ახლა ვიღებ სომხეთის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი არმან კირაკოსიანი.

დღის მეზობელ სომხეთში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის წინ, — თქვა მან შემდეგ, — უნდა განვიხილოთ საკითხები, რომლებიც საფუძვლად დაედება სახელმწიფოთაშორის ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გაზსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, რომლითაც სომხეთი იღებს გაზს.

— ეს ჩვენთვის სიცოცხლის გზა არის, — თქვა ბატონმა არმან კირაკოსიანმა. ამიტომ, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა აღიკვეთოს აფეთქებები ამ ტრასაზე. უნდა შევიმუშაოთ მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საიმედობას. ეს არის სადღეღამისო პატრულობა, სპეციალური პროჟექტორების დადგმა, ვერტმფრენებით ტრასის დაცვა.

საქართველოს მხარემ აღუთქვა სტუმრებს, რომ განახორციელებს გაზსადენის უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიებას, განიხილეს გაზის მიწოდების გაზრდის შესახებ თურქმენეთის რესპუბლიკასთან ერთობლივი მოლაპარაკების საკითხი. შეეხნენ ისეთ საკითხსაც, როგორიც არის რკინიგზაზე, სომხეთისათვის ასევე ერთადერთ სასიცოცხლო არტერიაზე ელექტროენერგიის მიწოდების რეგულირება. თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, რომელიც სტაბილურად ამუშავდა, საიმედოდ უზრუნველყოფს რკინიგზას.

საუბარში შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებსაც.

• • •

იმავე დღეს გაიმართა საქართველოსა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. საუბრის დროს განიხილეს ურთიერთსაინტერესო საკითხები, ორი მეზობელი ქვეყნის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობა და პერსპექტივები.

ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ სომხეთის მინისტრს გადასცა საქართველოს მხარის მიერ მომზადებული საქართველოსა და სომხეთს შორის ყოვლისმომცველი ხელშეკრულების, სომხეთის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის თანამშრომლობის, საბაჟოების, ეკონომიკური ურთიერთობის საფუძვლების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გარემოს დაცვის, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის შესახებ შეთანხმებათა პაკეტის პროექტები. მთელი რიგი შეთანხმებები ეხება საპენსიო უზრუნველყოფას, თანამშრომლობას ბანკებს შორის, მოქალაქეთა უვიზო გადაადგილებას, ორივე მხარის მიერ უცხოეთის მოქალაქეთათვის მიცემული ვიზების ცნობას და სხვ.

საუბრის დროს შეეხნენ აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთისათვის განკუთვნილი გაზსადენის აფეთქებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ სინანული გამოთქვა ამ ინციდენტების გამო და აღნიშნა, რომ ეს დაკავშირებულია რესპუბლიკის შიგნით რთულ ვითარებასთან. მან სტუმარს აღუთქვა, რომ საქართველოს მხარე კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა არ დაუშვას ამგვარი პროვოკაციული აქციები.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ

მოქალაქეობა არის ფიზიკური პირის მტკიცე სამართლებრივი კავშირი კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რომელიც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობაში, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

ეს კანონი უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს მოქალაქეობა

საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2. მოქალაქეობის უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა და მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქე

საქართველოს მოქალაქე არის:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, სამი თვის მანძილზე წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და ხელს მოაწერს საქართველოს მოქალაქის ფიცს.

ბ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა

საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური მრწამსის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად.

მუხლი 5. საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით სრულად აქვთ მინიჭებული, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული და გარანტირებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს ძირითადი კანონი და სხვა კანონები, გაუფრთხილდნენ ქვეყნის მთლიანობას, ხელი შეუწყონ მის ძლიერებას და იყვნენ საქართველოს ერთგულნი.

მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველოს რესპუბლიკა.

მუხლი 7. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება საზღვარგარეთ მცხოვრები პირისათვის

საქართველოს მოქალაქის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრება თავისთავად არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

მუხლი 8. სხვა სახელმწიფოსათვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის დაუშვებლობა

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს.

თავი II. საქართველოს მოქალაქეობის შეძენა

მუხლი 9. საქართველოს მოქალაქეობის შეძენის საფუძვლები

საქართველოს მოქალაქეობის შეძენა შეიძლება:

ა) დაბადებით;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით. (ნატურალიზაციით);

გ) საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

მუხლი 10. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 11. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ:

ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) ბავშვი (დაბადების ადგილის მიუხედავად), თუ ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით. მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

იმ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 12. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან

მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 13. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 14. უცნობ მშობელთა ბავშვის მოქალაქეობა

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ.

მუხლი 15. ბავშვის მოქალაქეობა მშობლების მიერ მოქალაქეობის შეცვლისას

ორივე მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მიუღწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა დაიშვება მხოლოდ მისი თანხმობით.

მუხლი 16. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლისას

თუ ერთ-ერთი მშობელი გადის საქართველოს მოქალაქეობიდან, ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება.

თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

ერთ-ერთი მშობლის მიერ მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 17. ბავშვის მოქალაქეობა ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეძენისას

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება უცხოელ მოქალაქედ, ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით.

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 18. სრულწლოვანი პირის მიერ მოქალაქეობის არჩევის შესაძლებლობა

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობის შემთხვევაში პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

მუხლი 19. ბავშვის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეძენა შვილად აყვანის შემთხვევაში

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, საქართველოს მოქალაქეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ხდება საქართველოს მოქალაქე.

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქე და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში, ხდება საქართველოს მოქალაქე მშვილებელთა ერთობლივი შუამდგომლობით.

მუხლი 20. ბავშვის მოქალაქეობის შენარჩუნება შვილად აყვანის დროს

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, ასეთ შემთხვევაში მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს შეიძლება ნება დაერთოს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე.

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, მოქალაქეობის არმქონე პირების ან საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მეუღლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 21. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მიმართაც დაწესებულია მეურვეობა და მზრუნველობა

ბავშვი, რომლის მიმართაც დაწესებულია მეურვეობა ან მზრუნველობა, მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით.

მუხლი 22. არაქმედუნარიან და შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობა

არაქმედუნარიან პირთა მოქალაქეობა განისაზღვრება მეურვის მოქალაქეობის შესაბამისად.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის შეცვლა დაიშვება მზრუნველის შუამდგომლობის საფუძველზე და ამ პირთა თანხმობით.

მუხლი 23. დავა ბავშვების, არაქმედუნარიან ან შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე

დავა მშობლებს, მეურვეებსა ან მზრუნველებს შორის ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლო წესით ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 24. საქართველოს მოქალაქეობა ქორწინების ან განქორწინებისას

საქართველოს მოქალაქის ქორწინება ან განქორწინება უცხოელ მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან თავისთავად არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას.

მეუღლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 25. საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები

საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის შესაბამისად მიიღება უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც:

ა) მუდმივად იცხოვრებს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილი მინიმუმის ფარგლებში ეცოდინება ქართული ენა (ალტერნატივა: ქართული ან აფხაზური ენა);

გ) დადგენილი მინიმუმის ფარგლებში ეცოდინება საქართველოს კონსტიტუციის საფუძვლები და აღიარებს მას;

დ) საქართველოს რესპუბლიკაში ექნება სამუშაო ადგილი ან შემოსავლის წყარო ან რაიმე უძრავი ქონება.

საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველმა პირმა საქართველოსადმი ერთგულების ფიცი უნდა წარმოთქვას ქართულ (ალტერნატივა: ქართულ ან აფხაზურ) ენაზე და დაადასტუროს პირადი ხელმოწერით.

მუხლი 26. საქართველოს მოქალაქედ მიღების განსაკუთრებული პირობები

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, გამონაკლისის სახით, უფლება აქვს ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაუცველად მიიღოს საქართველოს მოქალაქედ:

ა) პირები, რომლებსაც საქართველოს წინაშე გააჩნიათ განსაკუთრებული დამსახურება, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით თავისი სამეცნიერო შრომით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით ან სხვა მხრივ;

ბ) პოლიტიკის, კულტურის, ხელოვნების მეცნიერებისა და სხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეები.

ამ შემთხვევებში უცხოელ მოქალაქეებს მათი შუამდგომლობით შეიძლება შეუნარჩუნდეთ თავდაპირველი მოქალაქეობაც.

მუხლი 27. საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის მიღება საქართველოს მოქალაქედ

პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ამ კანონის 25-ე მუხლის „ბ", „გ" და „დ" პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 28. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა

საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება აღუდგეს ამ კანონის შესაბამისად, თუ მოქალაქეობა მას შეუწყდა მოქალაქეობიდან გასვლის, მშობლების არჩევანის ან მოქალაქეობის არამართლზომიერი დაკარგვის შედეგად.

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა დაიშვება, თუ დაინტერესებული პირი განცხადების შეტანის დროისათვის მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში და აკმაყოფილებს ამ კანონის 25-ე მუხლის „ბ", „გ" და „დ" პუნქტების მოთხოვნებს.

თავი III. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა

მუხლი 29. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები:

ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

გ) საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 30. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი წყდება ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

არ დაიშვება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მის მიმართ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება, აგრეთვე თუ პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებისა და ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს.

მუხლი 31. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას თუ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოებში;

ბ) ჩაიდენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დანაშაულს;

გ) მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ საქმიანობაში;

დ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 5 წლის განმავლობაში;

ე) საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით;

ვ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

თავი IV. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი

მუხლი 32. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებანი მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე;

გ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე;

დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე;

ე) გამონაკლისის სახით, ცალკეულ პირთა ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე.

მუხლი 33. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანა

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადებები დაინტერესებულ პირებს შეაქვთ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირებს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ან საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, ან პირდაპირ უგზავნიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს.

14 წლამდე ასაკის პირთა შუამდგომლობები საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

მუხლი 34. წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე

წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში შეიტანება სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ — შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულოს მიერ.

მუხლი 35. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებას და წარდგინებას წინასწარ განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო. დასკვნა მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე მტკიცდება იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ.

მუხლი 36. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში — განკარგულებას.

მუხლი 37. მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის ვადები

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

მუხლი 38. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების და წარდგინების განმეორებითი განხილვა

საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების განმეორებითი განხილვა დაიშვება წინა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 39. სახელმწიფო ბაჟი

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 40. დებულება მოქალაქეობის საკითხზე განცხადების და წარდგინების განხილვის წესის შესახებ

დებულება საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებათა და წარდგინებათა განხილვის წესის თაობაზე მტკიცდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით.

მუხლი 41. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით განცხადების განხილვაზე დაუსაბუთებელი უარის, შუამდგომლობათა განხილვის ვადების დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედებებისათვის შესაბამისი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა დგება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 42. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

საქართველოს მოქალაქეობის მოწმობას გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები.

სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე შესაბამის პასპორტებს გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობები ან საკონსულო დაწესებულებები.

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებისა და გაცემის წესს და პირობებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი V. საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 43. საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტისას ამ კანონთან ერთად გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, ამ კანონისაგან განსხვავებული წესებია დადგენილი, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

საქართველოს ერთგულების ფიცი

მე ——————————— ვფიცავ, ვიყო საქართველოს ერთგული მოქალაქე, დავიცვა მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ქვეყნის მთლიანობა და ავტორიტეტი, კანონები, გავუფრთხილდე ქართულ ენას, კულტურას და ეროვნულ ტრადიციებს.

„——" —————— 1993 წელი. ——————

პირადი ხელმოწერა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

1993 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ რაიონების (ქალაქების) გამგებლები, სოფლის მეურნეობის სამმართველოების და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები ვერ ახორციელებენ საკმარის ღონისძიებებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარებისათვის. 1993 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში ყველა სახის 20,8 ათასი ტრაქტორიდან გამართული იყო 17,3 ათასი, ანუ საერთო რაოდენობის 84 პროცენტი. 1 თებერვლის მდგომარეობით გამოყოფილი იყო საგაზაფხულო მარცვლეულისა და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების (უსიმინდოდ) თესლის მოთხოვნილების 83,7 პროცენტი, ხოლო სიმინდის თესლი — 60 პროცენტი, გამოყოფილია მოთხოვნილთან მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობის შვრიის, ბოსტნეული კულტურების, ბადრიჯნის, ხახვის, პამიდვრის თესლი.

საზოგადოებრივ მეურნეობათა საკუთარი სათესლე ფონდების შევსებასა და წმენდა-დახარისხებაში ჩამორჩებიან საგარეჯოს, მარნეულის, თეთრი წყაროს, ქარელის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ასპინძის, ახალციხის და რიგი სხვა რაიონები.

1993 წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მქონე სხვა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა (განყოფილებებმა), სახელმწიფო მეურნეობების, კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებმა შრომითი რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ეფექტიანად გამოყენებით უზრუნველყონ 1993 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხოვნად ჩატარება, რისთვისაც:

— უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ტექნიკის რემონტისა და მოვლა-პატრონობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, მიმდინარე წლის 25 თებერვლამდე შეამოწმონ ყველა მეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი გაუმართავი ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაკეთებლად;

— განიხილონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განკომპლექტების, ვადამდე ჩამოწერის, გაიჯარებისა და კერძო პირებისათვის მიყიდვის საქმეში დაშვებული ყოველი უხეში დარღვევის ფაქტი და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

— ორგანიზაცია გაუწიონ თესლის დეფიციტის შევსებისათვის მეურნეობათა შორის ნამეტი თესლეულის განაწილებას, საშემოდგომო კულტურების ნარჩენი თესლისა და მარცვლეულის, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოსახლეობასთან საგაზაფხულო კულტურების თესლეულზე გაცვლას, ნაღდ ფულზე შესყიდვას, მოიჯარეების მიერ უკანონო გზით მითვისებული მარცვლეულისა და თესლის ამოღებას. უზრუნველყონ მეურნეობებში გამოყოფილი და გაცვლის გზით მოზიდული თესლეულის წმენდა-დახარისხება, დასათეს კონდიციამდე აყვანა;

— შეამოწმონ საადრეო და საგვიანო კარტოფილის მწარმოებელ რაიონებში თესლეულით უზრუნველყოფისა და შენახვის, სარგავი მანქანების მზადყოფნის მდგომარეობა. მოამარაგონ მეურნეობები და მოსახლეობა კოლორადოს ხოჭოს საწინააღმდეგო პრეპარატებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ (გ. კვესიტაძე) განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მიწათმოსარგებლეთა საწარმოო მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ტექნიკის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწვავ-საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, მინერალური სასუქებითა და შხამქიმიკატებით მომარაგებას.

3. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ (ო. კაციტაძე) 1993 წლის საგაზაფხულო თესვისათვის უზრუნველყოს დაქვემდებარებულ საწარმოებში დამზადებული 600 ტონა საგაზაფხულო ქერის, 80 ტონა სიმინდის, 15 ტონა სოიის რიგითი მარცვლის სათესლედ დაჯავშნა და სასაქონლო მზესუმზირიდან 200 ტონა თესლის შერჩევა.

4. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ (გ. კვესიტაძე) და პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ (ო. კაციტაძე) მიიღონ საჭირო ზომები 1993 წლის საგაზაფხულო თესვისათვის ასოციაცია „სემენასთან" შეთანხმებული 5000 ტონა საგაზაფხულო ქერის, 2000 ტონა შვრიის, 2000 ტონა საგაზაფხულო ხორბლისა და 50 ტონა იონჯის თესლის შემოზიდვისათვის, ამასთან შეარჩიონ სხვა ქვეყნებიდან შემოზიდული სიმინდის, შვრიის, ბარდის, მზესუმზირისა და სოიის სასაქონლო პარტიებიდან სათესლე მასალა და დაჯავშნონ მიზნობრივი გამოყენებისათვის.

რესპუბლიკის გარედან თესლეულის დროულად შემოტანის მიზნით ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციას შემოზიდული თესლეულის საკომპენსაციოდ მომწოდებელ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს მიაწოდოს შესაბამისი რაოდენობის სასურსათო მარცვალი.

5. სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა" (დ. ზუბიტაშვილი) საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად გამოყოს 36 ათასი ტონა სადიზელო საწვავი, 16 ათასი ტონა ავტობენზინი (მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს-სადიზელო საწვავი 4,5 ათასი ტონა და ბენზინი 1,5 ათასი ტონა) და უზრუნველყოს მათი შეზიდვა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ რაიონებისა და ვადების ჩვენებით წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით.

6. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა (დ. დვალიშვილი):

— უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია საჭირო შეღავათიანი კრედიტებით რესპუბლიკის გარეთ საგაზაფხულო თესლეულის შესაძენად;

— მიეცეს შეღავათიანი კრედიტები მეურნეობებს საგაზაფხულო სამუშაოთა ჩასატარებლად საჭირო თესლეულის, საწვავ-საპოხი მასალების, სასუქების, პესტიციდებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

თ. სიგუა.

სამნი ერთ მანქანაში

თანამგზავრების ჩაუთვლელად

(დასასრული)

ამ პატარა სოფელს, რომელიც გზიდანაც მოფარებულია და დიდთოვლობაში კი საერთოდ არ ჩანს, თავისი პრობლემები აწუხებს, თავისთვის დიდი:

— 91-ის ნოემბრიდან პური არ შემოუტანიათ ჩვენთან.

პური ფოთიდან მოდის: იქ გადაიჭრება პრობლემები, აქ, სოფელსაც ეშველება.

რა მარტივად წყდება ყველაფერი ქაღალდზე!

თბილისი-ფოთის შუა გზაზე, ზრომში თოვლის ქვეშ მაინც გაზაფხული იდო და ჰინჩილებად, ძიცებად და თასებად ამოეტანა კაცის დაუზარელ ფუსფუსს მიწის ენერგია, ჩვენი არსობის საფუძველი.

და სრულიადაც არ ესადაგებოდა ლობეებით დაშტრიხულ სითეთრეს გარინდულ იმერეთში ულტრათანამედროვე მცნება — თავისუფალი ეკონომიკური ზონა. მაგრამ ვალერი გეგიძე სწორედ ამ თემაზე ლაპარაკობს — ფოთის პორტის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადების შესახებ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან დიდი სტიმული მიეცემა ვაჭრობის განვითარებას, მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომერსანტი დაინტერესებული იქნება ჩვენთან შემოსვლით, რადგან გათავისუფლებული იქნება საბაჟო და სხვა გადასახადებისგან, საქონლის შემომტანიც და გამტანიც. ვაჭრობა პორტში და მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი იქნება. მერე — ქალაქი. თუმცა პრინციპულად პორტი და ქალაქი გასაყოფი არ არის.

დასაჩქარებელია ეს საქმე, რა საკვირველია, მაგრამ ჯერ პარლამენტზე განიხილავენ, განსჯიან, მალე არ გამოვა. აწონ-დაწონიან ყველა „პოს" და „არას", თუმცა მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა მისი დადებითობა. სინგაპური, მაგალითად, ამან „ამოსწია".

— შედეგს როდის მივიღებთ?

— შედეგი? ძალიან იქით რომ გადავწიოთ, ერთ წელიწადში იქნება.

— ადრეც იყო ლაპარაკი თავისუფალ ზონაზე. ამ იდეის მოწინააღმდეგები ამტკიცებდნენ, რომ იგი უარყოფითად იმოქმედებდა ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობაზე.

— ეროვნული სახე, ჩემი აზრით, იშლება მაშინ, როდესაც ბუნება და ღმერთი იმ ერს გონებას დაუკარგავს. ყველა სხვა შემთხვევაში ეროვნული სახე არ უნდა დაიკარგოს. აქ პირიქით იქნება: ის გონებრივი პოტენციალი, რომელიც ერს გააჩნია, შეიძლება სწორედ აქ განვითარდეს, შეიქმნას მატერიალური ღირებულებანი, არქიტექტურული პროექტები განხორციელდეს და ასე შემდეგ, და ამ ბაზაზე განვითარდეს კულტურა, ლიტერატურა. ასე მგონია:

თუკი მსოფლიო ბაზარში სერიოზულად ვაპირებთ შესვლას, ჩვენი შეზღუდულობაც უნდა დავძლიოთ. აი, თუნდაც ენის საკითხში. მარტო ქართულით ფონს ვერ გავალთ. — ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის, რუსულის ცოდნა აუცილებელი იქნება.

ხომ ვასწავლით ჩვენს შვილებს გაძლიერებით უცხო ენას? ეს ბუნებრივი რეაქციაა სიტუაციაზე.

— ორი-სამი წლის წინ ყოფილი ხელისუფლების ნაკლოვანებად მიაჩნდათ (და სერიოზულადაც აკრიტიკებდნენ), რომ ფოთში ქართველი ბავშვები რუსულ სკოლებში სწავლობდნენ.

— თბილისში კი ინგლისურ სკოლებში შეჰყავდათ. მთავარი სხვაა — განათლების საფუძველი. სულიერი კულტურა მშობლიური, ეროვნული უნდა იყოს, ეროვნული ძარღვი არ უნდა დაიკარგოს. თორემ მსოფლიო კულტურათა ურთიერთგავლენის უარყოფა არც არავის შეუძლია და, მგონი, არც არავინ აპირებს.

მახინჯი სახე არ უნდა მიიღოს ამან, ქართველობა არ უნდა დაგვაკარგვინოს.

დანარჩენზე ალბათ ხვალ ვისაუბრებთ.

14 თებერვლის საღამოა. ფოთის შესასვლელში გვაჩერებენ. აქ ჩვეულებრივ სინჯავენ მანქანებს. ვინ ხართ და მიგაქვთ თუ არა იარაღი?

იარაღი ჩვენ არა გვაქვს.

საგუშაგოზე იცნეს ვალერი გეგიძე.

გაგვატარეს — ჩვენ, სამნი და ისინი, ვინც ჩვენთან ერთად იმგზავრა.

(გაგრძელება იქნება).

საქართველო უნდა გადავარჩინოთ!

ღრმად შეწუხებულნი საქართველოში შექმნილი მდგომარეობით, მოგმართავთ თქვენ, რესპუბლიკის მეცნიერებსა და ინტელიგენციის უმაღლესი სკოლების წარმომადგენლებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას, საქართველოს ყველა მცხოვრებს, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, ვინც გულგრილი არ არის მისი ბედისადმი, ვინც მისი მომავლისათვის იღვწის და ზრუნავს, კიდევ ერთხელ დავირაზმოთ საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებისათვის, არ დავუშვათ ერის გათიშვა, მისი დაცალკევება და დაპირისპირება.

იმედის სხივი მოეფინა სრულიად საქართველოს, ამაღლებული განწყობილებითა და ერთსულოვნების სულისკვეთებით ჩატარდა სახელმწიფოს მეთაურისა და რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები, რასაც რეალური საფუძველი ჰქონდა. ერთხმად იქნა არჩეული სახელმწიფოს მეთაურად მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი ბატონი ედუარდ შევარდნაძე, აირჩა მრავალპარტიული პარლამენტი, რომელშიც ეროვნულ მოძრაობაში მონაწილე ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაციაა წარმოდგენილი. დაკომპლექტდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. არჩევნებმა ცხადჰყო, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ერის ერთობას მტკიცე საფუძველი ეყრება. ხალხს ნათელი მომავლის პერსპექტივა და რწმენა გაუჩნდა, ისტორიული ოპტიმიზმის გრძნობა დაეუფლა.

დიდებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ საზოგადოებაში თავი იჩინა აგრესიული დაპირისპირებისა და შეუწყნარებლობის შემცირების ტენდენციამ. საქართველო შეუდგა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებას. ქვეყანამ დაიწყო გამოსვლა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მდგომარეობიდან, მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ თანაგრძნობა გამოუცხადა და დახმარების ხელი გამოუწოდა ახლადფეხადგმულ ჩვენს სახელმწიფოს. პოზიტიური ძვრები მოხდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სოციალური პროგრამის განხორციელების გზაზე, გამოიკვეთა დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ძირითადი სასტარტო ამოცანები და განისაზღვრა მათი გადაწყვეტის რეალური გზები.

სამწუხაროდ, ისევ დარეკა განგაშის ზარმა. ერის ერთობას ბზარი გაუჩნდა. ისევ დაპირისპირებულობისა და ბრძოლის საშიშროება შეიქმნა. გულსატკენია, რომ ამ მიმართულებით ის პოლიტიკური პარტიები და ძალები ამოქმედდნენ, რომელთაც გამოიყენეს არჩევნების წინა პერიოდში მიღწეული კონსენსუსი და საპარლამენტო მმართველობის საჭესთან მივიდნენ. ამგვარმა პოზიციამ გამოაფხიზლა მიჩუმებული დესტრუქციული ელემენტები, დაიწყო პაექრობა ძველი და ახალი ხელისუფლების კანონიერება-უკანონობის, მოწონება-დაწუნების თაობაზე. ამოქმედდნენ ძალები, რომელთა მიზანია ახლა უკვე 11 ოქტომბრის მონაპოვრის დანგრევა, რასაც შეიძლება ქვეყნისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს და ერი კატასტროფამდე მიიყვანოს.

ერის გასაგონად!

ხალხში შიშის სინდრომმა დაისადგურა, მეტიც, სასოწარკვეთის გრძნობა გაღვივდა. უიმედობამ და პესიმიზმმა ხალხის ეს უზარმაზარი მასა, პოლიტიკური ცხოვრების მაყურებლად აქცია და ასპარეზი ხშირ შემთხვევაში ნაკლებ კომპეტენტურ და ამბიციურ პოლიტიკოსთა ვიწრო წრეს დაუთმო.

ასეთ ვითარებაში გულგრილობა და პასიურობა ღალატის ტოლფასია. ვგრძნობთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ხალხისა და ერის წინაშე, მოგმართავთ, აქტიურად ჩავებათ ბრძოლაში საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებისათვის. ჩვენზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის საერთო პოლიტიკური კლიმატის ფორმირება და მასზე ზეგავლენა.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგი არ ვართ ჯანსაღი ოპოზიციისა, რომელიც ესოდენ სჭირდება დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, მაგრამ ეს ოპოზიცია არ უნდა გამოდიოდეს ვიწროპარტიული, ცალმხრივი ინტერესებიდან. პირველ რიგში, ეს პარლამენტის საქმიანობას ეხება, რომელიც დღემდე ვერ ამოქმედდა სრული ძალით. პარლამენტის სხდომებზე ზოგიერთი დეპუტატი უნაყოფო პაექრობაში კარგავს დროს. პარლამენტართა ნაწილს არ აკმაყოფილებს მხოლოდ საკანონმდებლო შემოქმედებითი საქმიანობა და ცდილობს როგორმე ხელში ჩაიგდოს კადრების გამგებლობა.

კარგად გვესმის, რომ ერთ პიროვნებას, რა ძალისა და ავტორიტეტისაც უნდა იყოს ის, ერთბაშად არ შეუძლია იხსნას ქვეყანა ამ უმძიმესი მდგომარეობიდან. მხოლოდ უმადურებს შეუძლიათ უგულებელყონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თავდაუზოგავი ძალისხმევა და მიზანსწრაფვა. ღმერთმა დაგვიფაროს, ვინმეს დესპოტიზმისა და დიქტატურისაკენ მოვუწოდებდეთ. მომავალი დემოკრატიას ეკუთვნის, მაგრამ ხელისუფლების სიძლიერე, კანონის სიმკაცრე და მაღალი პასუხისმგებლობა დემოკრატიისთვის აუცილებელია. არა გვგონია, ხელისუფლებას იმის შეხსენება სჭირდებოდეს, რომ „სამართლიანობა, რომელსაც ზურგს ძალა არ უმაგრებს, უძლურია, ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა — ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ, რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა" (პასკალი).

თანამემამულენო! აღვდგეთ სამართლიანობის მხარდასაჭერად. ბოლო მოვუღოთ გულგრილობას. გავერთიანდეთ საქართველოს გადასარჩენად, ვიხსნათ ჩვენი ერი მოსალოდნელი გათიშვისაგან, წინ აღვუდგეთ საქართველოს ერთიანობის ყველა მტერს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ვ. მეტრეველი, ნ. ქარქაშაძე, შ. აბლაძე, ნ. ანდღულაძე, გ. ალექსიძე, ნ. ბაღათურია, ვ. ბურკაძე, ო. ონიანი, ბ. ნასყიდაშვილი, ა. კიკნაველიძე, რ. მახარობლიძე, ო. ზარდაკიშვილი.

წევრ-კორესპონდენტები: ნ. ჩხარტიშვილი, ჯ. კაციტაძე, თ. ურუშაძე, თ. ნანიტაშვილი.

პროფესორები: ვლ. ჯანუყაძე, პ. გიორგაძე, გ. ჯაფარიძე, რ. ახათიანი, თ. კანდელაკი, გ. ნიკოლეიშვილი, ე. ზაფაქიძე, ლ. გვაზავა, თ. მაღლაკელიძე

მშვიდობისათვის პარლამენტური გზით

მიმართვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის II კონფერენციას

1992 წლის გაზაფხულზე თბილისში დაარსდა პაციფისტური საქველმოქმედო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის". საზოგადოება მოწოდებულია განუხრელად იზრუნოს რესპუბლიკაში ეროვნული თანხმობის მისაღწევად და ხელი შეუწყოს ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

ამ დღეებში შედგა საზოგადოების წევრთა მორიგი შეკრება, რომელზედაც მოისმინეს გაწეული მუშაობის ანგარიში და დასახეს სამომავლო გეგმები. განისაზღვრა საზოგადოების საქმიანობის სფეროები: ეკონომიკა, განათლება და კულტურა, ადამიანის უფლებათა დაცვა, საერთაშორისო კონტაქტები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოების საქველმოქმედო მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაჭრილთა და ლტოლვილთა დასახმარებლად.

კრებამ იმსჯელა რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ და თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატა მიმართვაში, რომელიც გაეგზავნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციის მონაწილეებს. ნიშანდობლივია, რომ მიმართვა კონფერენციაზე რატომღაც არ წაკითხულა, თუმცა პრეზიდიუმს იგი სწორედ ამ მიზნით გადაეცა.

* * *

1991-92 წწ. ზამთარში საქართველომ ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის თაოსნობით, ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის" თავგანწირვის ფასად, — სამწუხაროდ, იძულებით დაღვრილი სისხლის ფასად, — დაამხო გამსახურდიას დიქტატურა და გადაჭრით უარყო მისი ანტიჰუმანური პოლიტიკა. ხალხის ეს პოზიცია შემდეგაც არაერთგზის დადასტურდა: მაგ., 24 ივნისს ტელესტუდიაზე თავდასხმისას, ყვარელთან ტერორისტული ჯგუფის ლიკვიდაციისას, დასავლეთ საქართველოში დივერსიულ-ტერორისტული აქტების საწინააღმდეგო ქმედებისას და ა. შ.

11 ოქტომბერს მთელი საქართველოს მოსახლეობამ ცალსახად გამოხატა თავისი დამოკიდებულება და დემოკრატიული გზით აირჩია ლეგიტიმური ხელისუფლება; განსაკუთრებული ნდობა კი გამოუცხადა მსოფლიოში აღიარებულ პოლიტიკოსს ედუარდ შევარდნაძეს. დღეს ყველას აქვს საშუალება და უფლება საკუთარი აზრის გამოხატვისა და ხელისუფლების კრიტიკისა როგორც პარლამენტში, ისე პრესასა და ეთერში.

მიუხედავად პარლამენტის გარკვეული ხარვეზებისა, მისმა შექმნამ აშკარად კეთილისმყოფელი გავლენა იქონია რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ქაოსიც, თუმც ნელა, მაგრამ განუხრელად იცვლება წესრიგით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ, ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლების კურსი სწორია და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ამ კურსს იწონებს და მხარს უჭერს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოც.

მაგრამ მდგომარეობა კვლავაც მძიმეა: საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს თავსმოხვეული ომი, არც შიდაპოლიტიკური სიტუაციაა საკმაოდ მტკიცე. ამ ვითარებაში გაოცებას იწვევს, მეტი რომ არა ვთქვათ, იმ პარლამენტართა მოქმედება, რომლებიც პარლამენტის გარეთ ცდილობენ შექმნან პარალელური სტრუქტურა ეროვნულ ძალთა სათათბიროს სახით, რითაც უპირისპირდებიან ჩვენი ხელისუფლების სწორ კურსს. მეტიც, სათათბიროს ზოგი ინიციატორი ახალ არჩევნებსაც კი თხოულობს! არგუმენტად მოჰყავთ კონსტიტუციის უქონლობა, მაგრამ ამ არგუმენტს რომ რეალური პრაქტიკა არ ამართლებს, ეს თუნდაც დიდი ბრიტანეთის მაგალითზე ჩანს (დიდ ბრიტანეთს კონსტიტუცია არა აქვს). ესეც არ იყოს, გაუგებარია, რატომღა იყარეს კენჭი „არაკონსტიტუციურ" არჩევნებში თვით ამ პარლამენტარებმა?

კიდევ უფრო პარადოქსული ისაა, რომ ამ კანონმდებლებს დასაშვებად მიაჩნიათ კონფერენციაზე გამსახურდიას მოწვევა, — ექსპრეზიდენტისა, რომელსაც მოხსნილი არა აქვს სისხლის სამართლის ბრალდებები!

ისმის კითხვა: რას მოუტანს საქართველოს ეს სათათბირო? მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სხვადასხვა ჯურის გარეშე და შიდა რეაქციული ძალები სათათბიროს გამოიყენებენ დაპირისპირების შემდგომი გაღრმავებისა და დესტაბილიზაციის ახალი ტალღების წარმოქმნისათვის. ამის ნიშნები კი უკვე ჩანს.

მოგიწოდებთ, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოთ, იხელმძღვანელოთ მხოლოდ საქართველოს ინტერესებით ქვეყანაში მშვიდობის დასამკვიდრებლად.

ყველა საკითხი მხოლოდ პარლამენტში უნდა გადაწყდეს, — სწორედ იქ, სადაც თქვენ ხალხმა აგირჩიათ!

საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის".

თბილისი, 1993 წლის 20 თებერვალი

საზრისი

ვის უნდა თავისუფლება...

გიორგი ჟანტურია

> **„რასაც შენ ღმერთი გიგზავნის ან არ გიგზავნის, ან, რასაც შენ ღმერთი გაძლევს, ან არ გაძლევს, ყველაფერი შენთვის საუკეთესოა... განეწყვე მხოლოდ ისე, რომ ღვთის დიდება და პატივი ყველა საგანში შენიშნო და რაც უნდა დაგიწესოს მან, იცოდე, ეს საუკეთესოა".**
>
> **მაისტერ ეკჰარტი.**

ქართველობას ბოლოჟამს გადაგვავიწყდა, რომ რაც ხდება, ყველაფერი კანონზომიერია, ხოლო, რაც კანონზომიერია — კარგია, რადგან ღვთისგან არის დაშვებული. ღვთისგან დაშვებულ განსაცდელს კი უდრტვინველად უნდა შევხვდეთ და, თუ გადარჩენა გვსურს, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

საქართველოს გადარჩენა დღეს ყველას სურს (სიტყვით, რა თქმა უნდა), საქმით კი ზოგი მას უფსკრულისკენ ექაჩება, ზოგიც — სამარცხვინო წარსულისკენ, ზოგზოგები კი, ერთ ადგილს ტკეპნიან და ქაჩლებივით სავარცხლის სიძვირეს უჩივიან.

საქართველოს დღეს ძალიან უჭირს, მაგრამ ამ თემაზე საუბარი უკვე მოსაწყენი და თავის მომაბეზრებელი ხდება. ამიტომ უმჯობესია ვისაუბროთ რეალურ პერსპექტივებზე, რომლებიც ჩვენი დღევანდელობის ობიექტურ შეფასებასა და შესაძლებლობებზე იქნება დაფუძნებული. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ხალხი, განვითარების რა ეტაპზე დგას ქართველი საზოგადოებრიობა, რამდენად რეალურად ასახავს პარლამენტი ეროვნულ პოლიტიკასა და სახელმწიფო ინტერესებს, რამდენად მყარია და სახელმწიფოებრივი ჩვენი ე. წ. „მეოთხე ხელისუფლების" — პრესის პოზიციები და ა. შ.

შპენგლერი თვლის, რომ კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია კი ინტელექტისა. ეს ლოგიკა ჩვენ ერთობ მძიმე მდგომარეობაში გვაყენებს, რადგანაც დღეს ჩვენში არც სულის მეუფებაა და არც ინტელექტის. ვფიქრობ, დღეს სწორედ ამ რეალური პოზიციიდან უნდა შევხედოთ ურთულეს პოლიტიკურ პრობლემებს, ამასთან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მხრივ გარკვეული მისიის საკუთარ თავზე აღება საქართველოსაც ძალუძს და სწორედ ამ მისიაშია მისი ხსნა.

I

სახელმწიფოს თავისუფლება მის სუვერენობაშია, პოლიტიკური თავისუფლება კი ხალხის თავისუფლებაში ვლინდება. თვითგამოცემით ჟურნალ „მოამბეში" ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ვცადე (იასპერსის „დახმარებით") წარმომეჩინა და დამეხასიათებინა პოლიტიკური თავისუფლების ნიშნები, მაგრამ ჟურნალის ტირაჟი მცირე იყო, რაც მაიძულებს კვლავ მივუბრუნდე იასპერსისეულ „სამართლის სახელმწიფოს" და პოლიტიკური თავისუფლების რამდენიმე ნიშანს:

1. ადამიანი თავისუფალია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი (ცალკეული ადამიანი თავისუფალია, ე. ი. შენი თავისუფლება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სხვებიც თავისუფალნი არიან;
2. თავისუფლება ავლენს ორ ტენდენციას — ნეგატიურსა და პოზიტიურს. ნეგატიური ვლინდება თვითნებობისა და ძალადობისათვის ასპარეზის მიცემაში, პოზიტიური კი სიყვარულსა და გონებაზე დამყარებულ ადამიანურ ურთიერთობებში.
3. თითოეული ადამიანი ორ რამეს მოითხოვს: ძალადობისაგან დაცვას და საკუთარი შეხედულებების პატივისცემას. პირველს ახორციელებს სამართლებრივი სახელმწიფო, მეორეს კი დემოკრატია უზრუნველყოფს.
4. თავისუფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ კანონი ყველასთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყოს;
5. თავისუფლების უზრუნველყოფა შეიძლება პიროვნების ხელშეუხებლობით, ფარული არჩევნებისა და მთავრობის კანონიერი გზით შეცვლით (თუ ტირანულ სახელმწიფოსთან არა გვაქვს საქმე);
6. თავისუფლების ერთ-ერთი ნიშანი არის საჯარო დისკუსიები მოწინააღმდეგე პარტიებს შორის;
7. პოლიტიკური თავისუფლება დემოკრატიაა, ის გამორიცხავს როგორც ტირანის, ასევე მასის ბატონობას — ოხლოკრატიას. ამასთან, გაბატონებულია შერჩეული „არისტოკრატიული" ფენა პოლიტიკური ელიტის სახით (პროფესიონალი პოლიტიკოსები, იურისტები, ეკონომისტები, „ჰარვარდის" პოლიტოლოგები);
8. პოლიტიკური თავისუფლებისთვის უმნიშვნელოვანესია მრავალპარტიული სისტემა და ოპოზიციის არსებობა;
9. უნდა დამკვიდრებული იყოს ცხოვრების დემოკრატიული წესი და სხვისი, თუნდაც მიუღებელი აზრის პატივისცემა;
10. პოლიტიკური თავისუფლება შესაძლებელს უნდა ხდიდეს ყველა სხვა სახის თავისუფლებას. თავისუფლება მიზანი კი არა, ყოფიერების საფუძველია;
11. პოლიტიკური თავისუფლების ერთ-ერთი ნიშანია გათიშვა პოლიტიკასა და მსოფლმხედველობას შორის. პოლიტიკა საერთო ინტერესების გამოხატულებაა, მსოფლმხედველობა ჯგუფების ინტერესებს იცავს. პოლიტიკა არ უნდა ერეოდეს მსოფლმხედველობის საკითხში (ქრისტიანობა რწმენის საგანია, პეტრე და პავლე მოციქულნი რწმენის ერთიანობის მიუხედავად შესაძლებელია სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკსა თუ ორგანიზაციაში ყოფილიყვნენ);
12. თავისუფლების უზრუნველყოფა ხდება კონსტიტუციით, მაგრამ უმთავრესი ნიშანი თავისუფლებისა მაინც რწმენაა თავისუფლებისადმი.

რამდენად თავისუფალია საქართველო და მისი ხალხი დღეს? საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სუსტია მის სუვერენობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

რაც შეეხება ხალხს, რომლის თავისუფლების გარეშეც პოლიტიკურ თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, აქ საქმე უფრო რთულადაა. ეს ხალხი კი არის თავისუფალი (ესეც ფაქტია), მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ დომინირებს თავისუფლების ნეგატიური ტენდენცია, რაც გარდამავალ, რევოლუციაგარდახდილ ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. სახელმწიფოც ჯერჯერობით სუსტია, რომ უზრუნველყოს ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, პიროვნების ხელშეუხებლობა, პოლიტიკისა და მსოფლმხედველობის ურთიერთგამიჯვნა... არანაკლებ სცოდავს საზოგადოებაც, რაც, ასევე, ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული. თავისუფლებას გადაჩვეული საზოგადოება, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერჯერობით თავისუფლების მხოლოდ ნეგატიურ ტენდენციას ავლენს, ხოლო საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის განეიტრალებას კი ხელისუფლება ზღვარსგადასული ლიბერალიზმით ცდილობს, რაც ქვეყნის ქაოტურ მდგომარეობას კიდევ უფრო აღრმავებს (მაგ. იმის შიშით, რომ ხელისუფლებას არადემოკრატიულობა არავინ დასწამოს და თან საზოგადოებას მიეცეს „შემწყნარებლობის" ისეთი მაგალითი, რომელიც გამოიხატება ისეთი გაზეთების გამოცემაში, რომელიც აიკრძალებოდა მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში. ამ ე. წ. „ტესტს" ჯერაც არ მისცემია სათანადო შეფასება. კონფრონტაცია კი ღრმავდება, რასაც სახელმწიფოსათვის უმძიმესი შედეგები შეიძლება მოჰყვეს).

პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოებრიობის, ხალხის აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ მოხერხდება სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, მაგრამ ხალხი გააზრებულად უნდა ჩაებას პოლიტიკაში, რომ ავანტიურისტებმა ვერ შეძლონ ქუჩაში ამ ხალხის ნგრევისათვის გამოყვანა. აი ეს გახლავთ დღეს ხელისუფლების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოლიტიკოსების, ეკლესიის მთავარი საზრუნავი. დღეს ჩვენი საზოგადოება ისეთ ეიფორიულ მდგომარეობაშია, რომ ვინმე უბადრუკმა პოლიტიკანმაც რომ მოინდომოს, ხალხის ქუჩაში გამოყვანას წინ არაფერი დაუდგება. (არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მიმართულებით რუსეთის სპეცსამსახურებიც მუშაობენ).

აუცილებელია ჩვენი საზოგადოებრიობის რელიგიური მრწამსის განახლებაც („ახალი მოქცევა"), მართლმადიდებლურ საწყისებთან დაბრუნება, შინაგანი ქრისტიანობის ხელახლა შობა თითოეული ჩვენგანის სულში.

ქრისტიანობას არ შეიძლება რელიგია (ტრადიციული გაგებით) ვუწოდოთ, რადგანაც რელიგია ადამიანის მიერ ღვთის ძიებაა, ანუ კონტაქტი ქვევიდან ზევით, ქრისტიანობაში კი პირიქითაა — კონტაქტი ხორციელდება ზევიდან ქვევით. ასე რომ ადამიანმა კი არ იპოვა ღმერთი, არამედ ღმერთი განკაცდა და ღმერთმა იპოვა ადამიანი. ამასთან, ჩვენ ღმერთმა მართლმადიდებლობა შეგვინარჩუნა, თანაც ისე რომ აგვარიდა რუსულ, უსიყვარულო, ფანატიზმამდე მისულ აგრესიულ „პრავოსლავნი" ცეზარო-პაპიზმს და ნუთუ ახლა უნდა შევტრიალდეთ პირით ტლაპოსკენ ნაცვლად იმისა, რომ ვატაროთ (ცოცხალი ღმერთის ცოცხალი რწმენა გულში და ვიდრე ვინმეს შევაჩვენებდეთ, ჯერ საკუთარ თავსა და ჩვენს ცოდვებსაც ჩავუღრმავდეთ. კერპთაყვანისმცემელთა გულგამოშიგნული ბრბო, რომელიც ამ საუკუნის მეორე ნახევრის საუკეთესო მართლმადიდებელი ქართველი პატრიარქის სურათს გადახაზავს და მასზედ ცილისწამებების გავრცელებას დაიწყებს, სხვის ცოდვებზე „ანტიმართლმადიდებლურ-ანტიქართული მასონური შეთქმულების" შესახებ არ უნდა ლაპარაკობდეს და იმის სახელს არ უნდა ახსენებდეს, ვისი სახელის ხსენებასაც ძველი იზრაელელები ვერ ბედავდნენ, იმდენად დიდი იყო ის და იმდენად პატარა ადამიანი. ქრისტიანობის პოლიტიკური მიზნით გამოყენება და ღვთის სახელის წამდაუწუმ ხსენება უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ცხოვრების დიდი ნაწილი უღმერთოდ ყოფნა.

უნდა გააქტიურდეს ჩვენი ეკლესია, მან უნდა შეავსოს ყველაფერი და ადამიანის სულიდან დაწყებული არც ერთი ცარიელი ადგილი არ უნდა დატოვოს, რადგანაც ყოფიერება ვაკუუმს ვერ იტანს და იქ, სადაც არ შედის ღმერთი, ფარისევლობისა და კერპთაყვანისმცემლობის ბოროტი სული მკვიდრდება.

ჩვენი საზოგადოების ამ „უკვე მცირერიცხოვანი, მაგრამ აქტიური ნაწილით — ე. წ. „ზვიადისტებით" რომ დავიწყოთ ჩვენს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა განწყობილებასა და ფენებზე საუბარი, უფრო უპრიანი იქნება, რადგანაც ამ ფენომენის ახსნა სხვა კითხვებზე პასუხის გაცემაშიც დაგვეხმარება.

ვისაც სჯერა ის — ბადრიჯანს რომ ფრთები ჰქონდეს მერცხალი იქნებოდა და გროზნოდან თბილისს ჩამოფრინდებოდაო, მათი რიცხვი, უკვე ძალზე ცოტაა. უმრავლესობამ კარგად იცის, „მერცხალა" რომ ბადრიჯანია, მაგრამ იგი არც ახალ ხელისუფლებას რომ არ სწყალობს?

ძნელია ადამიანს აუხსნა და ისტორიული მაგალითებით დაუსაბუთო, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, ყველა ქვეყანაში მომხდარა დიდი კატაკლიზმების შემდგომ. გარდამავალ პერიოდებს ახასიათებს მსგავსი მოვლენები. ამითაც იყო განპირობებული ის, რომ ჩვენ გამსახურდიას რეჟიმი არასდროს დაგვიდანაშაულებია იმაში, რომ ეკონომიკური გაჭირვება იყო. ეკონომიკასთან დაკავშირებით ჩვენს უკმაყოფილებას მხოლოდ გარდაქმნის არასაკმარისი ტემპები იწვევდა და იწვევს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ადამიანი, რომელიც სოციალურად დაუცველია და პურის ფულიც კი არა აქვს, ხელისუფლებას ადანაშაულებს და მისგან მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას. ამ განწყობის თავის სასარგებლოდ გამოყენება კი მხოლოდ არაკეთილსინდისიერ პოლიტიკოსებს სჩვევიათ.

„შეპყრობილთა" და სოციალურად დაუცველთა (საიდანაც აპირებენ „ზვიადისტ-შეპყრობილთა" რიგების შევსებას) გარდა ჩვენს საზოგადოებაში არიან „უადგილოდ დარჩენილებიც" (აქ მარტო პოსტი არ იგულისხმება), რომლებიც ყველასა და ყველაფრის გამოყენებას ლამობენ მთავრობის წინააღმდეგ. ამ „ძალის" სათავეში დგანან უფუნქციოდ დარჩენილი პარტიები, რომელთაც ჯერაც ვერაფერი ისწავლეს, ხოლო ამბიციები ძველებური დარჩათ (ამ ძალებთან არაშკარა ალიანსშია ხელისუფლებით უკმაყოფილო ხელისუფლებისვე ზოგიერთი წარმომადგენელი).

მსგავს უიდეო-პოპულისტურ პარტიებს გულისხმობს ედ. ფრეი მონტალვა (ქრისტიან-დემოკრატი), როდესაც წერს:

„ეჭვს არ იწვევს, რომ პოლიტიკური საქმიანობა არ იქნება არც ღრმა და არც შემოქმედებითი, თუ მას იდეა არ ასაზრდოებს".

საზოგადოების ამ ნაწილს ერის ჭეშმარიტ ინტერესებთან არაფერი აქვთ საერთო... ის ცდილობს ობიექტური სიძნელეებითა თუ ხელისუფლების ზოგიერთი აშკარა შეცდომით სპეკულაციას, კონფრონტაციაზე წასვლას, რაც ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს (ამას ემატება ზოგიერთი უადგილოდ დარჩენილი მინისტრიც, ახლა რომ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ მდივნებად მოგვევლინენ).

საზოგადოების დიდმა ნაწილმა კი გაიგო, რომ ყვირილისა და „სამზარეულოს პოლიტიკის" დრო წავიდა, დადგა დრო შენებისა, დრო სუფთა, გონიერი პოლიტიკის.

ქუჩის პოლიტიკას მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, როდესაც საპარლამენტო ბრძოლის საშუალება მოსპობილი გაქვს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შენი აზრის გამოთქმის უფლებას არ გაძლევენ (აქ საინტერესოა იმ ფაქტის გახსენება, რომ როდესაც საფრანგეთში ანარქისტებმა ქვეყნის პრეზიდენტი მოკლეს, რუსმა ტერორისტებმა „ზემლია ი ვოლიადან" პროტესტი განაცხადეს — ჩვენ, რუსეთში ტერორის გარდა ბრძოლის სხვა საშუალება არ გაგვაჩნია, თავისუფალ ქვეყანაში კი, სადაც აზრის გამოთქმისთვის არავინ არ ისჯება, ტერორს რატომ მიმართავენო).

დღეს ის, ვინც საზოგადოების კიდევ უფრო გათიშვისაკენ და ქვეყანაში კონფრონტაციული განწყობილებების გაღრმავებისაკენ გადადგამს ნაბიჯს, ნამდვილად ვერ იქნება ერის ღირსეული და პატიოსანი (აღარაფერს ვამბობ გონიერებაზე!) შვილი, რაგინდ ულტრარადიკალური და ნაციონალისტური ლოზუნგებითაც არ უნდა ინიღბებოდეს ის.

კი, გვიჭირს, გვიჭირს ყველას. უაღრესად მძიმე მდგომარეობაა. უჭირს თავისუფლების გზაზე დამდგარ საქართველოს, მაგრამ ეს ობიექტური სირთულეები ვიწროკლანური ინტერესებისათვის კი არ უნდა გამოვიყენოთ, არამედ უნდა მოვითმინოთ, სხვადასხვა აზრის ერთგულნი სულიერად გავერთიანდეთ და ერთად დავსახოთ გზები დამოუკიდებლობის განმტკიცებისა (აქ რუსული ორბიტიდან აუცილებელი ამოვარდნაც იგულისხმება, ოღონდ ზედმეტი ყვირილისა და პოპულიზმის გარეშე).

საზოგადოება უნდა გაერთიანდეს, გაერთიანდეს ქვეყნის ხსნის იდეით, სხვა ყველაფერი კი წარმავალია და ამ წარმავალ წყალს ზოგი პოლიტიკანი და მარადუმწიფარი ორგანიზაციაც თან წაყვება. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გვაზავა ამბობდა 1918 წელს:

„მოქალაქენო! ძნელია დღეს ლაპარაკი. ირგვლივ ანარქიაა, ძარცვა-გლეჯა, მხეცური მკვლელობა, და სხვა და სხვა არევ-დარევა. მიუხედავად ამისა არის ერთი ძირითადი იდეა, რომლის ირგვლივ ტრიალებს და უნდა იტრიალოს ყოველ მოძრაობამ"... აი ეს ძირითადი იდეა არ უნდა დავიწყდეს არცერთ ქართველს, საზოგადოების რომელ ფენასაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ის და რომელი პარტიის წევრიც არ უნდა იყოს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

საქვეყნო ფიქრი

არის გაჩერების საშიშროება

რუსუდან ლორთქიფანიძე

„ჩარხმშენებლის" გაერთიანება (ადრე კიროვის ქარხანას რომ ვეძახდით) ჯერჯერობით მუშაობს. მართალია, მისთვის ჩვეული რიტმით არა, 40-50 პროცენტის დატვირთვით, მაგრამ მაინც მუშაობს. ესეც გაერთიანების ხელმძღვანელთა მცდელობითა და მოხერხებით, თორემ ქარხანას იმდენი პრობლემა აქვს, როგორც ბევრი სხვა საწარმო აქამდე ისიც გაჩერდებოდა, დადგებოდა და ორიათასიანი კოლექტივიც ამ გაჭირვების ჟამს უმუშევარი დარჩებოდა... მისი გაჩერება არც ჩვენი გაპარტახებული ეკონომიკისთვის იქნებოდა ხეირი. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, თუ მუშაობენ, შემოსავალი თავზე გადასდითო. თვეში საშუალოდ 8 ათასი მანეთი. აი, აქაური ხელფასი. მერედა, კმარა დღეს?

— ვიცი, რომ არ კმარა და ძალიანაც მინდა ჯამაგირები 6 ათასამდე მაინც გავზარდოთ — ამბობს გაერთიანების გენერალური დირექტორი **ანზორ შაუთიძე**, მაგრამ ჩვენი ხელფასები გამოშვებულ ჩარხთა რაოდენობაზეა დამოკიდებული და თუ პროდუქცია არ ვაწარმოეთ, ვერაფერს გავაწყობთ. ისიც თქვა, ჩვენი ქარხნის ვალი აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს და დღემდე ის გვიშველიდა, თორემ უფრო უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდითო. ბატონ ანზორს არც ის დაუმალავს, 300 მილიონი მანეთის გასაყიდი პროდუქცია ადგილზე რომ აქვს შენახული, ვიდრე რუსეთთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობა არ გაირკვევა, ვერ გავყიდითო. მძიმე პოლიტიკურმა, არასტაბილურმა სიტუაციამ ისიც გამოიწვია, რომ რუსეთის, ბელარუსეთის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების ბანკები ფულის გადარიცხვებს არ ახდენენ და ჩარხებს ხომ არ გავაჩუქებთო. არადა, „ჩარხმშენებლის" დამზადებული სამი დასახელების უნივერსალური სახარატო ჩარხი დეფიციტია. იგი ყველას სჭირდება, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებსაც. ქარხანას ამერიკიდან შეკვეთილი აქვს 50 ჩარხი. მაროკოლებს 15 უკვე მიაწოდეს, ჩარხების შესასყიდად ხელშეკრულება ფორმდება თურქეთთან, ჩინეთთან.

უნივერსალური ჩარხების გარდა გაერთიანებაში ხუთი დასახელების ხისდამმუშავებელ ჩარხებსაც ამზადებენ. მოთხოვნილება დიდია, სწრაფადაც იყიდება. აქვე ამზადებენ ფართო მოხმარების საგნებსაც.

— ჩვენი ქარხნის გადარჩენა და მომავალში ფუნქციონირება მაინც ხარისხიანი, უნივერსალური ჩარხების გამოშვებასა და ექსპორტზეა დამოკიდებული — ამბობს გენერალური დირექტორი. გზაც აქეთკენ გვაქვს აღებული, მაგრამ თუ არ აღდგა ეკონომიკური კავშირი რუსეთთან, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება არ დაიდო, სრული გაჩერება გველოდება. საქმე ისაა, რომ ჩვენი პროდუქციის დასამზადებლად საჭირო 30 ათასი დასახელების მასალა სწორედ თანამეგობრობის ქვეყნებიდან, 50-55 პროცენტი კი რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან უნდა შემოვიტანოთ.

ჯერჯერობით ბარტერული გაცვლითა თუ სხვა გზებით რაღაცას ვახერხებთ. და ქარხანაც არ გაჩერებულა, მაგრამ როდემდე? როდემდე შევძლებთ ასე მუშაობას? არადა, გაჩერების საშიშროება არის.

ადრე საჭირო მასალებს მომარაგების კომიტეტი (დღეს რომ ვაჭრობის სამინისტროს შეუერთდა) გვაწვდიდა. ახლა, შეიძლება ითქვას, მთლად აიღო ჩვენზე ხელი. ქარხნისთვის ვერაფერი შემოაქვს. ვერც ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნიდან ვიღებთ სხმულებს დროულად და საკმარისი რაოდენობით. რა თქმა უნდა, ობიექტური მიზეზების გამო, იმათაც უჭირთ. საჭირო მასალებით ვერ მარაგდებიან, მაგრამ ჩვენ კი ვფერხდებით. ამიტომაც რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულების დადება დღის აუცილებლად მიმაჩნია. თუ ეს განხორციელდა, მერე ჩვენ თავს ჩვენვე მივხედავთ.

ერთი სიტყვით, გაერთიანება „ჩარხმშენებლის" მესვეურები ჯერჯერობით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ არ გაჩერდნენ, რომ იძულებით შვებულებაში არ გაუშვან თანამშრომლები, ულუკმაპუროდ არ დარჩნენ ამ გაჭირვების ჟამს.

გარდა ამისა, „ჩარხმშენებელი" ხომ ის საწარმოა, სადაც ტრადიციულად იზრდებიან და პროფესიონალებად ყალიბდებიან ინჟინრები. მისი გაჩერებით კი ეს ბაზაც მოისპობა და ვფიქრობ, ყოველივე ეს ვერაფერი სასიკეთო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

შეიკვეცება პენტაგონის ბიუჯეტი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი გეგმავს 1997 საფინანსო წლისათვის 88 მილიარდი დოლარით, ხოლო შემდეგ — 1998 წლისათვის — კიდევ 89 მილიარდი დოლარით შეკვეცოს პენტაგონის ბიუჯეტი.

საერთო ანგარიშით, ხუთი წლის მანძილზე სამხედრო უწყების ბიუჯეტი შეიკვეცება 127 მილიარდი დოლარით.

მომავალ ოთხ წელიწადში 88 მილიარდი დოლარით პენტაგონის საჭიროებებისათვის ასიგნებათა შეკვეცა, ბ. კლინტონმა რომ შესთავაზა, სცილდება მის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაპირებული ამავე პერიოდის მანძილზე 60 მილიარდი დოლარით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ბიუჯეტის შემცირების ფარგლებს. ახალი საბიუჯეტო გეგმა გააორკეცებს ამ ციფრს, წერს ყოველკვირეული. კიდევ 28 მილიარდი დოლარით ასიგნებათა შეკვეცა გამოიწვია ორმა ფაქტორმა, ჯერ ერთი, კლინტონის განზრახვამ შეუმციროს ხელფასი თავდაცვის სამინისტროს სამთავრობო მოსამსახურეებს, მეორე, პენტაგონის ზოგიერთი ძვირად ღირებული პროგრამის ლიკვიდაციამ.

ამჟამად, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყებაში, აღნიშნავს „ავიეიშნ უიკ ენდ სპეის ტექნოლოჯი" მუშაობს. თავდაცვის მინისტრთან არსებული სპეციალური კომისია, რომელიც განსაზღვრავს სალიკვიდაციო პროექტებს. შემცირება შეეხება ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყველა გვარეობის ჯარებს, აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, აღნიშნავს ყოველკვირეული.

ახალი კოორდინატორი

პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დახმარების კოორდინატორი იქნება თომას საიმონსი. იგი პასუხს აგებს „ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი დახმარების გასაწევად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყველა ღონისძიებისათვის" და უშუალოდ დაექვემდებარება განსაკუთრებულ დავალებათა ელჩს, სახელმწიფო მდივნის სპეციალურ მრჩეველს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საკითხებში სტრობ ტელბოტს. ელჩი საიმონსი, აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯოზეფ სნაიდერმა, რომელმაც დანიშვნის ამბავი გამოაცხადა, „შესანიშნავად შეესაბამება ამ კრიტიკულად მნიშვნელოვან დანიშვნას ყოფილი სსრ კავშირის მიმართ კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკის ფორმირებისათვის". ამჟამად, იგი მეთაურობს ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობას პოლონეთში. წინათ ეკავა საბჭოთა კავშირის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის განყოფილების დირექტორის პოსტი, იყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპის საქმეებში, პასუხს აგებდა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის, ლაპარაკობს რუსულად.

თითო აბზაცით

თითქმის კიდევ 2 ათასი კაცით გაიზარდა იანვარში ბულგარელ უმუშევართა არმია. მასში თვის დამლევისათვის დაახლოებით 578000 კაცი იყო, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ 7574 ვაკანსიაზე. ბულგარეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა ახლა შეადგენს დაახლოებით 4,6 მილიონ კაცს.

პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა „პრინციპული თანხმობა" განაცხადა პირადად შეხვდეს ცნობილი წიგნის „სატანური ლექსების" ავტორს სალმან რუშდის, რომელსაც მისი გამოქვეყნებისათვის სიკვდილი მიუსაჯეს ისლამის ფუნდამენტალისტებმა.

გზად მომავლისკენ

ვალუტა სოფლისთვის?

უახლოეს მომავალში საქართველო, შესაძლოა, გახდეს ყოფილი კავშირის რესპუბლიკებს შორის ევროკონსორციუმის პირველი წევრი. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია არის განვითარების აგრარული განხრის მქონე სხვადასხვა ევროპული ქვეყნის დამაკავშირებელი რგოლი. ეს საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა გიორგი კვესიტაძემ. როგორც მან თქვა, ევროკონსორციუმის ერთ-ერთი ამოცანაა უსასყიდლო ფინანსური დახმარება გაუწიოს თავის წევრებს.

ამ გაერთიანებაში შესვლის იდეა იშვა თელ-ავივში გიორგი კვესიტაძის ამ ცოტა ხნის წინანდელი ყოფნის დროს. ისრაელმა კოლეგებმა შესთავაზეს საქართველოს მხარეს, იკისრონ შუამავლის როლი ამ საკითხში და მისცენ საქართველოს რეკომენდაცია ევროკონსორციუმში გაწევრიანებისათვის. მინისტრი გაეცნო ისრაელის სოფლის მეურნეობას და იგი ფიქრობს, რომ ბევრი რამ სასარგებლო შეიძლება გავიზიაროთ ამ ქვეყნის გამოცდილებიდან, კერძოდ, ეს ეხება უწინარეს ყოვლისა, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სისტემას, რწყვის საკითხებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაცვა-შენახვასა და გადამუშავებას.

კვალი „ნათელი",
ანუ ვინ წერს და ვისზე წერენ

მიხეილ მაჭარაძე

ერთი ჩემი უფროსი კოლეგა, რომელსაც საბჭოთა სისტემის ყოველგვარი „სიკეთე" ნაგემი აქვს (10 წელი ვორკუტაშიც „ისვენებდა"), სანდო წრეში, როცა კომუნისტური იდეოლოგიისა და წყობის კრიტიკით გულს იჯერებდა, ბოლოს სხვათაშორისოდ გვეტყოდა: „თქვენი, კომუნისტების ბრალია ყველაფერი!" ხანდახან ჩემს მოკრძალებულ შენიშვნას — არა ვარ პარტიის წევრი-მეთქი, როგორც წესი, უნდობლად და ირონიით ხვდებოდა. ერთხელაც იყო, გაბედულად და ამაყად შევეპასუხე: არა ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ კომპარტიის წევრი! (ეს სწორედ ის დრო იყო, მასობრივად რომ ტოვებდნენ კომპარტიის რიგებს ცნობილი მოვლენის შემდეგ). კოლეგამ წარბები შეჭმუხნა, თავი ჩაღუნა და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ მკაცრად მომიგო: „პარტიაში რომ არ შესულხართ, მაგით ხარ კომუნისტი!". რამდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ ფრთიან ფრაზაში საკმაოდ დიდი ნაწილია სიმართლის. ჩვენ ისეთი ეპოქა გამოვიარეთ, რომ შეუძლებელია კომუნისტურ წნეხს ჩვენში არ დაეტოვებინა თავისი „ნათელი" კვალი.

დღეს ვინმეს კომუნისტურ წარსულზე გამოდევნება უმართებულოა, ვინაიდან ბევრი უპარტიო უფრო მწარე და უდრეკი კომუნისტი ყოფილა, ვიდრე პარტიის წევრი და პირიქით. დღეს კაცური წარსულით უნდა შეფასდეს პიროვნება და არა მისი კომუნისტურ პარტიაში ყოფნა-არყოფნის გამოძიებით.

ამ საკითხზე ამ ბოლო ხანებში საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ბ-ნ **თემურ მირიანაშვილის** პუბლიცისტურმა წერილმა — **„წუმპიდან წუმპეში, ანუ, აი, ვინ არის ი. გოცირიძე"** („საქართველოს რესპუბლიკა", 6 თებერვალი, 1993). ამ წერილის ძირითადი აზრი ისაა, რომ ბ-ნი ირაკლი გოცირიძე და მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „იბერია-სპექტრი" სხვას უკიჟინებენ კომუნისტური წარსულის გამო, მაშინ როცა, თვით ბ-ნი რედაქტორიც ასეთივე წარსულისაა. თ. მირიანაშვილს დამოწმებული აქვს უამრავი ფაქტობრივი მასალა, საიდანაც კარგად ჩანს კომუნისტური ხელისუფლების დროინდელი ერთი ჩვეულებრივი ჟურნალისტის კონიუნქტურას დაქვემდებარებული საქმიანობა.

იბადება კითხვა: ღირს კი ამგვარი რამეების ძიება? მოგვცემს რაიმეს სასიკეთოს ამგვარი პუბლიკაციები? აქ ძალაუნებურად წამოიჭრება საკითხი: ვინ წერს და ვისზე წერენ.

ვინ წერს? ბ-ნი თემურ მირიანაშვილი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომელი.

ვისზე წერენ? ბ-ნ ირაკლი გოცირიძეზე, იმ გაზეთის მთავარ რედაქტორზე, რომელიც დღეს თავისი გაზეთით გამოკვეთილად უპირისპირდება ოფიციალურ ხელისუფლებას.

ვფიქრობთ, ფრჩხილები გახსნილია: პოზიციისა და ოპოზიციის ბრძოლის ნაცნობი სურათია.

არის კიდევ ერთი კითხვა: როგორ წერს თ. მირიანაშვილი და რამდენად ფაქტიანია ეს ნაწერი? წერილის ძირითად აზრზე უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება თ. მირიანაშვილის წერილში გატარებულ ცილისწამებას და „დონოსებს" (რაშიც ურთიერთბრალდებაა ორივე მხრიდან), როგორც ამას საყვედურობენ ოპონენტები, შეიძლება ითქვას შემდეგი: ყველა ამათზე პრესით კი არ უნდა იძიო შური, არამედ სასამართლოშია საქმე შესატანი. ლანძღვა-გინებასა და უტაქტობაზე არ ღირს ამდენი ამბის ატეხა, ვინაიდან ეს იმდენად ადრესატს არა ვნებს, რამდენადაც თვით ავტორს. აქ ან უბრალო გაუგებრობაა ან კიდევ უფრო სხვა ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე, ვიდრე ამას თ. მირიანაშვილის ოპონენტები წარმოადგენენ.

თ. მირიანაშვილის წერილის მიზანს შეადგენს წარსულში ი. გოცირიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის ულტრაკომუნისტური ხასიათის ჩვენება. აქ ოპონენტების მხრიდან ცხადად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, რომ ავტორის დამოწმებული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება თუ არა. ოპონენტებმა კი რატომღაც აქცენტი ამ ფაქტების მხოლოდ თ. მირიანაშვილისეულ შეფასებებსა და ინტერპრეტაციებზე გადაიტანეს და აქედან დაასკვნეს მათი ცილისმწამებლური ხასიათი. არადა, თუკი თ. მირიანაშვილის დამოწმებული ფაქტები სიმართლეს შეესაბამება (და ეტყობა ეს ასეცაა!), აქ, ოპონენტების თავის მართლება იმით, რომ მაშინ, ყველა ასე წერდა, ი. გოცირიძე ვერ შეცვლიდა „ზარია ვოსტოკას" სტილსა და იდეოლოგიურ პლატფორმას", დამწყები ჟურნალისტი რას წერდა მაშინ, რა მოსატანია და ა. შ. ვერაფერი საბუთებია. აქ, საბუთებად არც ანალოგიები გამოდგება და არც პარალელები.

პირადად მე თ. მირიანაშვილის აღნიშნულ წერილში ზოგიერთი რამ არ მომწონს, განსაკუთრებით მისი დასკვნითი ნაწილი, რომელიც შავი პეტიტითაა აწყობილი, მაგრამ „იბერია-სპექტრის" საპასუხო რეაქციამ სულ სხვა კუთხით მიიპყრო ყურადღება.

პირველი საპასუხო რეაქცია 9-15 თებერვლის „იბერია-სპექტრის" (№ 66) მიმართვაა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისადმი, რასაც თან ახლავს რედაქტორის პირადი მინაწერი. ამ მიმართვის პირველივე ფრაზები სერიოზულ ეჭვებს აღძრავს. კერძოდ, აქ თემურ მირიანაშვილი მოხსენიებულია, როგორც — „ვინმე თემურ მირიანაშვილი". თუმცა ცოტა ქვემოთ ფრჩხილები იხსნება და ნათქვამია, თუ ვინ ყოფილა სინამდვილეში იგი.

ბუნებრივად იბადება კითხვა: „იბერია-სპექტრი" კრიჭაში ედგა და უდგას ჯერ სახელმწიფო საბჭოს, შემდგომ ახალ ხელისუფლებას. როგორ დავიჯეროთ, რომ რედაქციის თანამშრომლები არ იცნობდნენ თ. მირიანაშვილს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, კრიტიკოსს... არ იცნობდნენ მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს, თუნდაც მის გახმაურებულ ვრცელ წერილს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეზე, რომელიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში გამოქვეყნდა. თუკი „იბერია-სპექტრის" რედაქცია ამ მიმართვაში გულწრფელია, მაშინ მით უარესი ფაქტებისათვის და ეს პირველ რიგში თვით რედაქციას ვერ ახასიათებს კარგად.

რაც შეეხება ამ მიმართვაში წამოყენებულ სამ საზოგადოებრივ დანაშაულზე, რასაც ბრალდების სახით უყენებენ წერილის ავტორს, ეს საკითხი შესაბამისი ორგანოების საქმეა.

წერილი რედაქციას

გაზეთის ამავე ნომერში გაკეთებულ რედაქტორის პირად მინაწერს, ქვემოთ დავუბრუნდებით.

თ. მირიანაშვილის წერილზე საპასუხო გამოსვლები გაგრძელდა „იბერია-სპექტრის" მომდევნო ნომერშიც (16-22, თებერვალი, № 67). თავისი ხასიათით ეს რეაქცია უფრო მეტადაა დამაფიქრებელი, რამდენადაც იგი საქმისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების აღდგენის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ნაძალადევის რაიონის მოსახლეობის 90-ზე მეტი წარმომადგენლის ხელმოწერილი კოლექტიური წერილი, რომელსაც თავისი პათოსითა და შემართებით, ნებით თუ უნებლიედ, 30-იანი წლების ავბედით ეპოქაში გადავყავართ:

„ამხანაგო თემურ მირიანაშვილო!"

„ჩვენი აზრით უკეთესია თქვენისთანა (თ. მირიანაშვილისთანა. — მ. მ.) ღვარძლიანი ადამიანი სრულებითაც არ არსებობდეს"..

გაზეთსა და რედაქციას „...გვერდით უდგას მთელი საქართველო და თუნდაც საზღვარგარეთიც".

„ნუთუ არ დაგეწრიტათ ძარღვებში ის ბინძური სისხლი, რომელიც თქვენ გაცოცხლებთ".

„სირცხვილი თქვენ, მირიანაშვილო!"

„თქვენ ამ თხოვნით არ მოგმართავთ, ეს ბრძანებაა ქართველი ხალხისა თქვენდამი მომართული. იცოდეთ ამ დემაგოგიურ ბრალდებისათვის თქვენ პასუხს აგებთ და განაჩენის გამომტანნი თვით ჩვენ ქართველი ხალხი ვიქნებით".

აქ, კომენტარი ზედმეტია, კითხვები კი ბუნებრივია:

ხომ არ გვაგონებს ეს იმ სიტუაციას, როცა მთავრობის სახლის წინ ხალხი რიგში იდგა წინა ხელისუფლებისათვის არასასურველი პირების დაპატიმრებაზე მოთხოვნის ხელმოსაწერად?

გაზეთი, რომელსაც ობიექტურობაზე აქვს პრეტენზია, როგორ აქვეყნებს ამგვარ მოთხოვნებსა და მოწოდებებს? (იმის მიუხედავად, თუ როგორ იქცევა მოწინააღმდეგე). განა ამგვარი მოთხოვნები და მშრომელთა მუქარა იმ გარდასულ ავბედით ხანას არ გვაგონებს? ყველაფერი ეს, ისევ იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ ბოლშევიკური ხერხები და მეთოდები ჩვენი ბრძოლის ერთადერთი საშუალებებია. ნუთუ მარად ბოლშევიკებად ვრჩებით?

ამავე ნომერში, ბ-ნი გივი ჩხიკვიშვილი აღნიშნავს, რომ თ. მირიანაშვილის პუბლიკაციამ გაზეთს ავტორიტეტი უფრო აუმაღლა და ჯიხურებთან რიგი დააყენაო. თუ ეს ასეა, მაშინ თ. მირიანაშვილს მათგან მადლობა ეკუთვნის და არა ანათემაზე გადაცემა. ისე კი „იბერია-სპექტრს" არც აქამდე აკლდა მყიდველი, მაგრამ თუკი ამგვარი პუბლიკაციებით მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, მაშინ მართლა ცუდად ყოფილა საქმე და ეს საყოველთაო დაფიქრების საგანი უნდა გახდეს.

ბ-ნი ნოდარ ჭალაღონია კი თავის წერილში აღნიშნავს: „ჩემი აზრით, ი. გოცირიძის ოცწლიანი დუმილი (იგულისხმება პერიოდი, როცა ი. გოცირიძე სხვაგან მუშაობდა და პრესაში არ ჩანდა — მ. მ.) იყო ბრძოლა საკუთარ თავთან, შეხედულებების გადაფასება, ფსიქოლოგიური წნეხისაგან განთავისუფლება, რომლის მსხვერპლიც მილიონებთან ერთად ისიც იყო". ამ სიტყვებით ავტორი ფაქტობრივად ეთანხმება თ. მირიანაშვილს ი. გოცირიძის წარსულის შეფასებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი აზრით ი. გოცირიძემ თავისი წარსული მოინანია.

მხოლოდ სიტყვებით რომ წარსულის მონანიება შეუძლებელია, ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დასტურდება. აი რას აღნიშნავს ი. გოცირიძე თავის პირად მინაწერში („იბერია-სპექტრი", № 66): ჩემს დისკრედიტაციას თ. მირიანაშვილი და სხვები ვერ შეძლებენ, „ამის დასტურია ის უამრავი წერილი, დეპეშა, ტელეფონის ზარი, რაც პასკვილმა გამოიწვია — ხალხი ბრმა არ არის, მან ყველაფერი გააანალიზა".

განა ეს ფრაზები კომუნისტური განწყობის ნიმუში არაა? განა რამდენი წერილი მიიღო 2-3 დღეში (ისიც ჩვენი ფოსტის შემყურემ), რომ ასე „დამშვიდებულია" ბ-ნი ირაკლი?

განა კომუნისტური მუშაობის სტილით არაა ნაკარნახევი, რომ ი. გოცირიძემ თავისი დამცავი წერილები თავისივე გაზეთში დაახვავა?

კიდევ ერთი ფაქტი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ი. გოცირიძემ აწარმოა დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში მას მოუხდა საკმაოდ თავისუფალი შეხვედრები საკავშირო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებთან.

ჩემთვის პატივსაცემ პიროვნებას, ბ-ნ ნოდარ ჭალაღონიას მინდა ვკითხო: „ოცწლიანი დუმილის" შემდეგ, კომუნისტური წარსულის „შეხედულებების გადაფასებისა" და „ფსიქოლოგიური წნეხისაგან" განთავისუფლებულ პიროვნებას (ი. გოცირიძეს) თუ მისცემდნენ ჩებრიკოვთან, იაზოვთან და სხვა დიდი თანამდებობის პირებთან თავისუფლად შესვლისა და მათთან ასე ღიად საუბრების უფლებას?

განა ნიშანდობლივი არაა, რომ 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით ი. გოცირიძის ნაღვაწ-ნაამაგარის გამოცემას გზა გადაუღობა (და ალბათ სამართლიანადაც!) სწორედ იმ ხელისუფლებამ, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს ახლა ის.

მოკლედ, კომუნისტურ იდეოლოგიას, განწყობას თუ განწყობილებას, იმავე კომუნისტური მეთოდებით ვერ აღმოფხვრი. ეს ყველას ეხება, ხელისუფლების წარმომადგენელსაც და მის მოწინააღმდეგესაც. ამის გათვალისწინება აუცილებელია თუნდაც იმისათვის, **რომ ამ მსოფლმხედველობასა და მასთან დაკავშირებულ ძალებზე საშიში მტერი საქართველოს ჭირჭირობით არა ჰყავს.**

რაც შეეხება ამდენი აჟიოტაჟის ატეხას თ. მირიანაშვილის ხსენებულ პუბლიკაციაზე, ეს ფაქტი ცალსახად უნდა მიანიშნებდეს შემდეგზე: **ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ავტორმა მარჯვედ შეარჩია სამიზნე, მარჯვედვე გაისროლა და ზუსტადაც მოახვედრა მიზანში.**

მინაწერი: ჩემი წერილი — „კვალი „ნათელი"", რომელიც ბ-ნ თემურ მირიანაშვილის გახმაურებულ წერილსა და მასზე „იბერია-სპექტრის" მკაცრ რეაქციას შეეხებოდა, პარასკევს — 19 თებერვალს წარედგინა „იბერია-სპექტრის" რედაქციას. პოლემიკის სიმწვავის გათვალისწინებით ვითხოვდი წერილის გამოქვეყნებას მიმდინარე ნომერში. „იბერია-სპექტრის" რედაქციამ ეს არ ინება, რაც მაძლევს იმის მორალურ უფლებას, რომ წერილი წარმოვადგინო თქვენს გაზეთში, სადაც პირველად დაიწყო ეს პოლემიკა. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

მ. მ. 23. II 93 წ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

„7 მნათობი" ანათებდა

ია კალანდარიშვილი.

ქართული კლასიკური მუსიკის საშემსრულებლო ხელოვნების აღორძინებას მიეძღვნა ნორჩ კომპოზიტორთა და მუსიკის შემსრულებელთა I რესპუბლიკური ფესტივალი „ 7 მნათობი".

რამდენიმე დღის გრძელდებოდა ნორჩ ხელოვანთა მოსმენა, რომელსაც ღირსეულთა შორის ღირსეული უნდა გამოერჩინა. ახალგაზრდები ასრულებდნენ პროკოფიევის, ლისტის, შოპენის, სენსანსის, გრიგის, აგრეთვე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

ფესტივალის ჟიურიმ 30 შემსრულებლიდან და კომპოზიტორიდან დასკვნით კონცერტზე 8 დაუშვა.

შაბათს, ნორჩ კომპოზიტორთა და შემსრულებელთა I რესპუბლიკური ფესტივალის დასკვნით დღეს უმასპინძლა სიმფონიური მუსიკის დარბაზმა, სადაც გამოვლინდნენ ფესტივალის პირველი გამარჯვებულნი: თამარ ზამბახიძე, ნინო დუდაური, ნინო ბაბუციძე, ვახტანგ კოდანაშვილი, მარიკა კვეტენაძე, ვალერი შიუკაშვილი, თეა ლონდარიძე და მარინა ნადირაძე. შემსრულებლებს აკომპანირებას უწევდა საქართველოს ახალგაზრდული ორკესტრი ავთანდილ მამაცაშვილის ხელმძღვანელობით.

გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ქართველ ნორჩ მუსიკოსებს მისალმება გამოუგზავნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც დამსწრე საზოგადოებას გააცნო კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების „მთაწმინდის" პრეზიდენტმა შოთა დოლონაძემ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრესტიჟული ღონისძიების ჩატარება იკისრეს საზოგადოება „მთაწმინდამ", ასოციაცია „ერქვანმა", კორპორაცია „ბანი და კამპანიამ" და საქართველოს ტელევიზიამ. „ბანი და კამპანიის" ინიციატივით ფესტივალის ლაურეატ შვიდ შემსრულებელს, „7 მნათობს", მომავალ წლამდე, შემდეგ ფესტივალამდე, დაენიშნებათ სტიპენდია — 3-3 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო ასოციაცია „ერქვანმა" ორ პედაგოგს ყოველთვიურ ხელფასზე დანამატის სახით დაუნიშნა პრემია.

სპონსორთა ინიციატივით ფესტივალის ყველა მონაწილე დასაჩუქრდა სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით.

• • •

სურათზე: უკრავს მარიკა კვეტენაძე.

ირაკლი გედენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი მთა-ბარის ამბები

დიდ ნიკოს რომ მკადრება...

ფოთელები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავისათვის. საიუბილეო თარიღი 27 სექტემბერს სრულდება. მადლიერმა ფოთელებმა ეს წელი ნიკო ნიკოლაძის წლად გამოაცხადეს.

ამასთან დაკავშირებით საქალაქო გაზეთმა „ფოთის მოამბემ" დაიწყო იუბილარის მრავალმხრივი საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მასალების გამოქვეყნება რუბრიკით — „ჩვენი დიდი წინაპარი".

ამ დღეებში ქალაქში შეიქმნა ნიკო ნიკოლაძის სახელობის ფონდი, რომელსაც მეტად კეთილშობილური მიზანი აქვს — შემოსული თანხები მოხმარდება ამ ზღვისპირა ქალაქის აღორძინებას. ფონდის ანგარიშის ნომერია 3113045. პირველი ფულადი შენატანი — (20.000 მანეთი) გადარიცხა ფოთის მრეწვმშენბანკმა.

ბეგლარ ჩხაიძე.

როგორ მიდის პრივატიზაცია?

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებისა და პრივატიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი ლექტორიუმი. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სამინისტროების, უწყებების და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ ბატონები: ავთანდილ სილაგაძე, პეტრე ბაქრაძე, ზურაბ ბახტაძე, გურამ ლიდბარიძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, ზურაბ ზედგენიძე, იუზა ვასაძე, ჯემალ ჩხიკვაძე.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესის პრობლემური საკითხებისა და მიმართულებების შესახებ ცალკეული მოსაზრებები გამოთქვეს მეცნიერებმა და პოლიტიკური პარტიების ეკონომიკურ პრობლემებზე მომუშავე პირებმა.

დახმარება—ლტოლვილებს

ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებენ სოხუმლები გუდაუთის რაიონიდან გამოყვანილ ლტოლვილებს. ქარხანა „ორგტექნიკის" მუშა-მოსამსახურეებმა ლტოლვილთა დახმარების ფონდში გადარიცხეს 100 ათასი მანეთი და ახლა მათთვის აგროვებენ თეთრეულს, ტანსაცმელ ფეხსაცმელს.

ლტოლვილებისათვის სახსრების შეგროვება და მატერიალური დახმარება პრაქტიკულად მიმდინარეობს სოხუმის ყველა საწარმოში.

სხვა გაზეთებიდან

ეროვნული ბანკი—ეროვნულ სტადიონს

საქართველოს ეროვნული ბანკის გაზეთი „ბანკი" 13 თებერვლის ნომერში შიდა გაშლილ გვერდებს უთმობს თბილისის „დინამოს" სტადიონის დღევანდელ პრობლემებზე საუბარს. გაზეთი წერს:

„დღეს ომია საქართველოში და სპორტზე ზრუნვა თითქოს ერთგვარად დაჩრდილა უამრავმა სხვა საფიქრალმა, მაგრამ ხვალ-ზეგ, როცა ქვეყანა იარებს მოიშუშებს და საბოლოოდ დაადგება მშვიდობიანი აღმშენებლობის გზას, ვაითუ ეს დანაკარგი ველარ ავინაზღაუროთ.

დავეხმაროთ თბილისის ეროვნულ სტადიონს, ვიზრუნოთ ქართული სპორტის ხვალინდელი დღისათვის. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ანგარიშზე გადარიცხა 8 მილიონი მანეთი".

ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ

ვინც ბოროტმოქმედთა მოძებნაში დაგვეხმარება...

22 თებერვალს ჯერჯერობით დაუდგენელმა სამმა ბოროტმოქმედმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა თბილისის ისნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები, პოლიციის უფროსი ლეიტენანტები **შოთა ციციშვილი** და **რამაზ ქურასბედიანი.**

სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ბოროტმოქმედთა დასადგენად და დასაკავებლად.

გარდა ამისა, საქართველოს პოლიციის ფონდმა დააწესა ფულადი პრემია — 800 ათასი მანეთის ოდენობით იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს მიაწვდიან ინფორმაციას მიმალულ ბოროტმოქმედთა ადგილსამყოფელის შესახებ ან მონაწილეობას მიიღებენ მათ დაკავებაში.

ჩვენი ტელეფონებია: 98-28-00, 99-95-24.

ახალი წიგნი

პოეტის ახალი სამოსელი

გამომცემლობა „მერანმა" მკითხველს მიაწოდა პოეტ მზია ხეთაგურის ახალი წიგნი, რომელშიც შევიდა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები.

აღნიშნულ კრებულში ავტორი თავს უყრის სხვადასხვა წლებში დაწერილ მოთხრობებს და პუბლიცისტურ მასალას, ამდენად, ავტორი ახალ ამპლუაში გვევლინება.

მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები მზია ხეთაგურის ავტოპორტრეტად შეიძლება გამოდგეს, რადგან მათში კარგად ჩანს პატიოსანი, ამაღლებული სულით შემართული პიროვნება, მისი მწერლური და მოქალაქეობრივი სახე. მკითხველი დარწმუნდება ამ სიტყვების გულწრფელობაში, თუ მოთხრობების ეპილოგში, რომელსაც „სიცილის ოთახი ჰქვია", მწერალი სრული დაუნდობლობით, სწორედ ქალისათვის ნაკლებად დამახასიათებელი სიმკაცრით აღიარებს თავის, ამ შემთხვევაში ქალისათვის საკუთარ უცოდველობაში რწმენის შედეგად დაშვებულ შეცდომებს...

მზია ხეთაგურის ახალი წიგნი შეგიძლიათ შეიძინოთ გამომცემლობა „მერანის" საფირმო მაღაზიაში, ჰონორარის ნაწილი ავტორს განზრახული აქვს მოახმაროს საქველმოქმედო საქმიანობას.

იზა ჯაჭვაძე.



კრიმინალური ქრონიკა

● **თბილისში** პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ვეფხვია როსტიაშვილი, რომელსაც ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

● **თბილისში** პოლიციის თანამშრომლები რამაზ ხურასბედიანი და შოთა ციციშვილი ატარებდნენ რეიდს. მათ საექიმოს ქუჩაზე შეაჩერეს ავტომანქანა. მანქანაში მსხდომმა ბოროტმოქმედებმა ცეცხლსასროლი იარაღით ადგილზე მოკლეს პოლიციის თანამშრომლები. ბოროტმოქმედები მიიმალნენ.

● **ასპინძის** რაიონის სოფელ ხერთვისის დაუცველ ფერმაში შეაღწია დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა და მოიპარა 5 ძროხა და ერთი დეკეული.

● **რუსთავში** პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს არასრულწლოვანები: გოჩა ქიოკაძე და ლაშა მეტრეველი, რომლებმაც გაქურდეს თინათინ მანზულაშვილის ბინა.

ნანა მაყაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ლაგოდეხის რაიონული განყოფილების

განცხადება

1993 წლის 25 მარტს დღის 12 სთ-ზე ლაგოდეხის რაიონის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ეწყობა აუქციონი — გასაყიდად გამოტანილი იქნება:

1. ქ. ლაგოდეხის № 4 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური. ექსპლოატაციაშია 1970 წლიდან, 210 მ^3 მოცულობისა, 3 ცალი ბენზინის სვეტით, 2 ცალი ზეთის სვეტით, დაკავებული მიწის ფართობით 0,25 ჰა, 50 მ^2 საოპერატორო ოთახის ფართობით. საწყისი გასაყიდი ფასია 1137532 მანეთი.
2. სოფ. აფენის № 5 ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური. ექსპლოატაციაშია 1974 წლიდან, 60 მ^3 ტევადობისა ორი ცალი ბენზინის სვეტით, ერთი ზეთის სვეტით, 0,22 ჰა მიწის ფართობით, 48 მ^2 საოპერატორო ოთახის ფართობით, საწყისი გასაყიდი ფასია 1762050 მანეთი.
3. სოფ. ბოლოკიანის კონტეინერული ტიპის ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური 50 მ^3 ტევადობისა, მიწის ფართობით 0,15 ჰა, საწყისი გასაყიდი ფასია 1259000 მანეთი.

ბენზინის გასამართი ავტომატური სადგურების გაყიდვის შემთხვევაში მის მიერ დაკავებული მიწის ფართობით სარგებლობა მყიდველის მიერ განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განცხადებების მიღება წყდება 24 საათით ადრე აუქციონის დაწყებამდე.

მისამართი: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. № 28. ტელ.: 2-25-54.

სააქციონერო საზოგადოება

საქართველოს უნივერსალური ბირჟა

ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის და სააქციო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟის" ინიციატივით შეიქმნა დახმარების ფონდი „თანხმობა". ფონდის მიზანია ეროვნებათაშორისი კონფლიქტებისა და ადამიანთა უფლებების შელახვით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება.

ფონდი შეიმუშავებს სამუშაო პროგრამას, რომლის მიხედვითაც დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება. პროგრამით გათვალისწინებული იქნება არა მარტო დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარება, არამედ სხვადასხვა სამუშაოებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც მოახდენენ ეთნოსიტუაციების პროგნოზირებას და ექსტრემალური სიტუაციების საწყის ეტაპზე კორექტირებას.

ყველა იურიდიულ და კერძო პირს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს აწმყოსა და მომავალზე, შეუძლია შეიტანოს თანხა ფონდის ანგარიშზე.

ანგარიშის ნომერია: 0671 25734 საქართველოს რესპუბლიკის ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო, ფონდი „თანხმობა".

ტელეფონები: 95-30-24, 99-08-36

აუცილებელი განმარტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ამა წლის 9 თებერვალს გამოქვეყნებულმა საქინფორმის მასალამ „რა ღირს ბოთლი" ერთგვარი უხერხულობა შექმნა მოსახლეობისა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში. საქმე ის არის, რომ ღვინის, კონიაკის და ლიმონათის ქარხნების ხელმძღვანელებმა ანუ ე. წ. მომწოდებლებმა ისე დააწესეს მინის ტარაზე ახალი საგირავნო ფასები (ღვინის ბოთლისა — 20 მან., კონიაკი-არყისა — 14 მან., ლიმონათი — 11 მან), რომ ის შეთანხმებული არ არის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროსთან და ქალაქის მერიის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოსთან.

ჩვენ კი ეს ახალი ფასები ოფიციალურად ანუ სამთავრობო გადაწყვეტილების დონეზე არ გაგვაჩნია და ვხელმძღვანელობთ ძველი ნიხრებით. მომხმარებელი კი ძნელია დააჯერო ასეთ შეუსაბამობაში და კანონიერად მოითხოვს უკან ჩაბარებულ ცარიელ მინის ტარაზე გაზეთში გამოქვეყნებულ ახალ ფასებს.

გვინდა მივმართოთ შესაბამის ორგანოებს დააჩქარონ ამ პრობლემის გადაწყვეტა, ისე, რომ საგირავნო ფასი ერთნაირი იყოს, როგორც მომწოდებლისაგან მიღებულ, ისე მომხმარებლის მიერ უკან ჩაბარებულ ცარიელ მინის ტარაზე. სხვათაშორის ეს საკითხი ჩვენ არაერთხელ გვაქვს ოფიციალურად დაყენებული სათანადო ინსტანციებში.

სამმართველოს უფროსი
მ. ტყეშელაშვილი.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვის ოპერაციებს რუსეთიდან საქართველოში უმოკლეს ვადებში, თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით. ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია:

ქ. თბილისში: 86-09-29; 86-27-74 (11-დან 14 სთ-მდე)
ქ. მოსკოვში: (095) 878-79-78.

გაერთიანება კონსორციუმი „ქართლი" მომხმარებელს სთავაზობს შეღავათიან ფასად იმპორტულ კარტოფილს (45-55 მანეთი).

მსურველებმა მიმართეთ მისამართზე: ელიავას ქუჩა № 82 (დიდუბე, სახელმწიფო რეზერვების საწყობები) ტელ: 99-58-07 ან 99-50-09.

სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მაყურებელს სთავაზობს სპექტაკლების რეპერტუარს 26 თებერვლიდან 7 მარტამდე:

26 თებერვალი — ზ. სამადაშვილი — „წრე"
27 თებერვალი — ლ. თაბუკაშვილი — „მინდა ვიცოცხლო, მინდა მიყვარდეს"
28 თებერვალი — ა. პოლონსკი — „არავინ დაიჯერებს"
5 მარტი — ჯ. მაროტა, ბ. რანდონე — „ქვრივთა ნუგეშისმცემელი"
6 მარტი — ზ. სამადაშვილი — „წრე"
7 მარტი — გ. ნახუცრიშვილი, ბ. გამრეკელი — „ნაცარქექია".

სპექტაკლების დასაწყისი 15 საათზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი

ეთერ (მედეა) ჯიშკარიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანას პირველი გამარჯვება

70-ე სვლაზე თბილისელი დიდოსტატის — ნანა იოსელიანის გამარჯვებით დამთავრდა მონტე-კარლოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეექვსე პარტია, რომელიც წინა დღეს გადაიდო.

ეს ჩვენი მოჭადრაკის პირველი მოგებაა უნგრელ ჟუჟა პოლგართან შეხვედრაში.

ორთაბრძოლის დასასრულამდე 2 პარტიით ადრე ანგარიშია 3,5:2,5 პოლგარის სასარგებლოდ.

ბუბკას 34-ე მსოფლიო რეკორდი

ლეგენდარულმა უკრაინელმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ მის მშობლიურ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე 34-ე მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამიერიდან დონეცკელი მძლეოსნის მიერ აწეული სარეკორდო ჭერი 615 სანტიმეტრს შეადგენს.

„5 ერის" თასზე

გრძელდება მორაგბეთა პრესტიჟული ტურნირი — „5 ერის თასის" გათამაშება.

გთავაზობთ მესამე ტურის შედეგებს: შოტლანდია-უელსი — 20:0, ირლანდია-საფრანგეთი — 6:21. ამ დღეს თამაშისაგან თავისუფალი იყო ინგლისი.

4-4 ქულით დაწინაურდნენ შოტლანდიელი და ფრანგი მორაგბეები.

„დასავლეთი" უფრო ძლიერი იყო

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიში გაიმართა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველა ვარსკვლავის ტრადიციული, რიგით 43-ე მატჩი — „დასავლეთი"-„აღმოსავლეთი".

უაღრესად დაძაბული დავა „დასავლეთმა" მოიგო — 135:132.

ევროპის სტადიონებზე

გრძელდება ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები. გაეცანით ზოგიერთი მათგანის ლიდერთა მორიგი შეხვედრების შედეგებს:

ესპანეთი. „დეპორტივო"-„რეალ-სოსიედადი" — 5:1, „ალბასეტე"-„რეალი" — 0:3, „ბურგოსი"-„ბარსელონა" — 0:1.

„დეპორტივო" — 36 ქულა, „რეალი" — 34, „ბარსელონა" — 32.

ინგლისი. „ასტონ ვილა"-„ევერტონი" — 2:1, „მანჩესტერ იუნაიტედი"-„საუთჰემპტონი" — 2:1. „ნორვიჩ სიტი"-„მანჩესტერ სიტი" — 2:1.

„ასტონ ვილა" — 56 ქულა, „მანჩესტერ იუნაიტედი" — 54, „ნორვიჩ სიტი" — 51.

საფრანგეთი. „მარსელი"-„ლანი" — 2:0, „ტულუზა"-„პარი სენ-ჟერმენი" — 0:0, „ნანტი"-„მონაკო" — 1:0.

გია გურულის კლუბმა — „ჰავრმა" სტუმრად ფრედ — 0:0 ითამაშა „სენტ-ეტიენთან".

„მარსელი" — 37 ქულა, „მონაკო" — 35, „პარი სენ-ჟერმენი" — 35.

ის ურჩევნია მამულსა...

წრიული სისტემით წარიმართა საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ზამთრის პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 16-მა წამყვანმა სპორტსმენმა.

ქვეჯგუფებში გამარჯვებები მოიპოვეს დავით გოგილაშვილმა (მას დედა — სპორტის ამ სახეობის ცნობილი სპეციალისტი რენა აბჟანდაძე ავარჯიშებს), ვეტერანი ჩოგბურთელის — გივი ახალაძის ვაჟმა — ანატოლიმ და ბექა ძაგანიამ. მათ შორის გამართული გადამწყვეტი პაექრობები ასეთი შედეგებით დასრულდა: გოგილაშვილი-ძაგანია — 6:4, 6:2, ახალაძე-ძაგანია — 6:4, 6:7, 6:4, გოგილაშვილი-ახალაძე — 6:7, 6:3, 6:4.

ამრიგად, საპრიზო სამეულში ადგილები შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდა: დავით გოგილაშვილი, ანატოლი ახალაძე და ბექა ძაგანია.

გივი ლუკაშვილი,
სპორტის ოსტატი.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ ბოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0486.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434